„ნებისმიერი ქორწინება ერთი სქესის პირებს შორის აკრძალულია და თავიდანვე არამოქმედია. ნებისმიერი ქორწინება ერთი სქესის პირებს შორის მიჩნეული მოქმედი სხვა ოურისდიქციაში, არ არის ოურიდიულად მნიშვნელობის მქონე ან კანონიერი მისისათვის შტატში“.

(<http://law.justia.com/codes/mississippi/2010/title-93/1/93-1-1/>).

ოუტას შტატის (აშშ) კანონთა კრებულის (2011წ.) 30-ე ტიტულის „ქმარი და ცოლი“ («Husband and Wife») მე-2 სექციის „აკრძალული და არამოქმედი ქორწინებები“ («Marriages prohibited

and void») ქვესექციის „აკრძალული და არამოქმედი ქორწინებები“ («Marriages prohibited and void») 5-ე პუნქტი:

„შემდეგი ქორწინებები აკრძალულია და მიჩნეულია არამოქმედი: . . . ერთი სქესის პირებს შორის“.

(<http://law.justia.com/codes/utah/2011/title30/chapter1/section2.html>).

ლუზიანას შტატის (აშშ) კანონთა კრებულის სამოქალაქო კოდექსის (Louisiana Civil Code) (2009 წ.) IV ტიტულის „ქმარი და ცოლი“ («Husband and wife») 1-ლი თავის „ერთი სქესის მქონე პირთა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემობები“ («Impediment of same sex») 89-ე დებულება:

„ერთი სქესის პირებს არ შეუძლიათ ერთმანეთთან ქორწინება. ერთი სქესის პირებს შორის სავარაუდო ქორწინება, მემდგარი სხვა შტატში, რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის IV წიგნის II განყოფილების დებულებებით“.

(<http://law.justia.com/codes/louisiana/2009/cc/cc89.html>).

მერილენდის შტატის (აშშ) კანონთა კრებულის (2009წ.) საოჯახო კანონის («Family Law») მე-2 ტიტულის „ქორწინება“ («Marriage») მე-2 ქვეტიტულის „განონიერი ქორწინებები; აკრძალული ქორწინებები“ («Valid Marriages; Void Marriages») 2-201-ე სექცია „კანონიერი ქორწინებები“ («Valid marriages»):

„ამ შტატში მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორის ქორწინებაა მოქმედი“.

(<http://law.justia.com/codes/maryland/2010/family-law/title-2/subtitle-2/2-201/>).

ალაბამას შტატის (აშშ) კანონთა კრებულის (2009წ.) 30-ე ტიტულის „ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობები“ («Marital and domestic relations») 1-ლი თავის „ქორწინება“ («Marriage») 30-1-19-ე სექციის „ქორწინება, იმის აღიარება, რომ იგი აკრძალულია

ერთი სქესის პირებს შორის“ («Marriage, recognition thereof, between persons of the same sex prohibited») «ა», «ბ» და «ს» პუნქტები.

„(A)წინამდებარე სექცია იქნება ცნობილი და მისი ციტირება შეიძლება, როგორც „აღაბამას შტატის კანონი ქორწინების დაცვის შესახებ.“

(B) ქორწინება თავისი არსით არის უნიკალური ურთიერთობა მამაკაცსა და ქალს შორის. როგორც სახელმწიფო პოლიტიკის საკითხი, ამ შტატს აქვს უნიკალური ქორწინებით ურთიერთობების წახალისების, თანადგომისა და დაცვის განსაკუთრებული ინტერესი, სხვა მიზნებთან ერთად, საზოგადოებისა და მისი შეიღების სტაბილურობისა და კეთილდღეობის მიზნით.

(C) ქორწინება არის წმინდა აღთქმა, შემდგარი მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც ამყარებს, როდესაც არსებობს ორივე მხარის მართლუნარიანობა და თანხმობა, ურთიერთობებს მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც შტატის მიერ მიჩნეულია, როგორც ხელშეკრულების სამოქალაქო-უფლებრივი ფორმა.

(D) აღაბამას შტატში არ შეიძლება გაცეს ნებართვა არანაირ ქორწინებაზე ერთი და იმავე სქესის მქონე მხარეებს შორის.

(E) აღაბამას შტატი არ აღიარებს მოქმედად არანაირ ქორწინებას ერთი და იმავე სქესის მხარეებს შორის, რომელიც დადგებულია ან ხდება სხვა იურისდიქციის კანონის მოქმედების შედევად, იმის მიუხდავად, გაცემულია თუ არა მასზე ქორწინების მოწმობა“.

(<http://law.justia.com/codes/alabama/2009>Title30/Chapter1/30-1-19.html>).

საგანგებოდ აღვნიშნავთ პომოსექსუალურ ორიენტაციაზე დამყარებული რამე პრივილეგიების (დადგბითი დისკრიმინაციის ზომების) მინიჭების კონსტიტუციური აკრძალვის შესახებ, რომელიც

გამყარებულია კოლორადოს შტატის (აშშ) კონსტიტუციაში (II სტატია „ბილი უფლებების შესახებ“ («Bill of rights») სექცია 30ბ „არაპრივილეგირებული სტატუსი, დამყარებული პომოსექსუალურ და ბისექსუალურ ორიენტაციაზე“ («No Protected Status Based on Homosexual, Lesbian or Bisexual Orientation») „არც კოლორადოს შტატში, თავისი განყოფილებებისა და დეპარტამენტების საშუალებით, არც მისმა რომელიმე ორგანომ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა ერთეულმა, მუნიციპალიტეტში ან საკოლო მხარეში, არ უნდა გამოსცეს, მიიღოს ან შეიყვანოს ძალაში რამე სტატუსი, წესები, დადგენილება ან პოლიტიკის მიმართულება, რომლებმაც პომოსექსუალური, ლესბონური ან ბისექსუალური ორიენტაციის, ქვევის, პარაქტიკის ან ურთიერთობის მქონე პირებს შეიძლება მისცეს ან გახდეს საფუძველი იმისა, რომ ნებისმიერმა პირმა თუ პირთა ჯგუფმა მოითხოვოს უმცირესობის რამე სტატუსი, უპირატესი უფლებები და შედავათები, სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მყოფის სტატუსი ან გახდეს დისკრიმინაციის შესახებ სარჩელის საფუძველი. კონსტიტუციის წინამდებარე სექციას აქვს პირდაპირი მოქმედება ძალა ყველა მიმართებით“.

(<http://www.michie.com/colorado/lpext.dll/coconst/57/89/16ca?l=templates&fn=document-frame.htm&2.0>).

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება, ყოფილისაგან განსხვავებით, გამოიჩენს მეტ წინდახედულობასა და სიცირობილეს და არ გააგრძელებს ჩვენი ქამატისა და ჩვენი ერისთვის მეტად საშიშ და საბედისწერო კურსს, რომელსაც ატარებდა ყოფილი ხელისუფლება პომოსექსუალიზმისა და პროსტიტუციის ლეგალიზების ხელშეწყობის მიმართულებით, არ დაუშვებს პომოსექსუალიზმის პროპაგანდას ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია, განსაკუთრებით კი არ დაუშვებს პომოსექსუალიზმის პროპაგანდას მოზარდებს შორის. ასევე

ვიმელოვნებთ, რომ აშშ-ს შტატების საკანონმდებლო კრებულებიდან ზემოთ მოყვანილ მაგალითები იქნება მიბაძვის საგანი. ასევე ვიმელოვნებთ, რომ ახალი ხელისუფლება ანგარიშს გაუწევს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობას, კერძოდ, კონსტიტუციურ შეთანხმებას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, გაუძლებს ნებისმიერ ზეწოლას და არ მიიღებს ეკლესიასთან შეუთანხმებლად რაიმე ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხება ზნეობასა და რწმენას. ვიმელოვნებთ, რომ ახალ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება, რათა არ მოჭრას ის ტოტი, რომელიც მისი ძირითადი საყრდენია.

გაფრთხილების მიზნით აღვნიშნავთ: თუ მწვანე შუქი ავუნთვთ ჰომოსექსუალიზმს, რიგში შემდეგი პედოფილიაა, შემდეგი კი - ინცესტი.

ნუ იყოფინ!

თავი V

ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიის დეზინფორმციული და მანიპულაციური ხასიათი

ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა მისი იდეოლოგიის მხრიდან იყენებს ისეთ დესტრუქციულ ხერხებს, როგორიცაა დეზინფორმაცია, მანიპულირება ციფრებით, მითების შექმნა და სხვა აკრძალული მეთოდები.

1. მანიპულირება ციფრებით

ჰომოსექსუალური იდეოლოგიის აგრესიული ექსპანსია ხორციელდება ისეთი დეზინფორმაციის ფონზე, რომელიც ემყარება სინამდვილის საწინააღმდეგო მტკიცებას, თითქოს ჰომოსექსუალთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. ეს მტკიცებები მიზანმიბრივულად კეთდება იმისათვის, რომ საზოგადოებას შეექმნას მცდარი წარმოდგენა ჰომოსექსუალების რაოდენობაზე.

ასე მაგალითად, «Gallup»-ის მიერ 2011 წლის 5-8 მაისს ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ ამერიკელების საზოგადოებრივი ცნობიერება იმდენად დეზინფორმირებულია ჰომოსექსუალთა მანიპულაციური ქმედებებით, რომ საზოგადოებას ჰყონია, რომ ჰომოსექსუალების რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 25%-ს შეადგენს, ეს მაშინ, როდესაც ამარიკელი დემოგრაფების თვით „ოპტიმისტური“ გამოთვლებითაც მათი რაოდენობა არ აღემატება 3%-ს, თუმცა მრავალი ექსპერტის თვალსაზრისით, ეს ციფრი მნიშვნელოვნად ნაკლებია.

ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ასეთი გამოკითხვების დროს თავისუფლად შეჰქავთ სათვალავში ისინიც, რომელთაც პქონდათ მხოლოდ ერთი შემთხვევა პომოსექსუალური ურთიერთობისა, მაგრამ მას შემდეგ აღარ ყოფილან მსგავს ურთიერთობებში, ასევე - ისინი, რომლებმაც აცნობეს გამომკითხველებს, რომ აქვთ პომოსექსუალური მიდრეკილება, მაგრამ არ ყოფილან პომოსექსუალურ ურთიერთობებში და ა.შ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მრავალი ექსპერტის შეფასებით, რეალურად, პომოსექსუალთა რაოდენობა აშშ-ში არ აღემატება მოსახლეობის 1%. რამდენადმე დიდია ეს ციფრი კალიფორნიის შტატში, სადაც პომოსექსუალიზმისადმი უფრო მეტი ლიბერალური დამოკიდებულება გამოხატული, და ნაკლებია იგი რიგ სხვა შტატში. 1%, როგორც ფონური მაჩვენებელი, სხვა ქვეყნებისთვისაც არის დამახასიათებელი. საქართველოსა და მსაგავს ქვეყნებში, სადაც პომოსექსუალიზმი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ცოდვად არის მიწნეული და მის მიმართ საზოგადოებრივი უარყოფითი შეხეძელება აშკარადაა გამოხატული, ეს ციფრი გაცილებით ნაკლებია და მეტად უმნიშვნელოა, რაც იმაზეც მიუთითებს (კომპეტენტურ მეცნიერულ გამოკვლევებთა ერთად), რომ პომოსექსუალიზმი, ძირითადი, ადამიანის არა თანდაყოლილი, არამედ შეძენილი თვისებაა და იმ საზოგადოებას, რომელსაც მეტი ლიბერალიზმი ახასიათებს პომოსექსუალიზმის მიმართ, უფრო მეტი პომოსექსუალიც ჰყავს. თუნდაც ამიტომაც მიუღებელია პომოსექსუალიზმის პროპაგანდის დაშვება საზოგადოებაში, განსაკუთრებით მოზარდებში.

დავუბრუნდეთ თემას. საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ პომოსექსუალური მიდრეკილება, მაგრამ ნებატოურად აფასებენ მას და შედეგად პიროვნული და საზოგადოებრივი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ბერკეტებით ახერხებენ თავიანთი მიდრეკილების დათრგუნვას. „პომოსექსუალების“ ეს ნაწილი სრულიად თავისუფლად გამოთქვას თავის უთანხმოებას

პომოსექსუალური პროპაგანდისადმი, განსაკუთრებით იმ ფიქტიური სურათის დახატვასა და წარმოდგენასთან დაკავშირებით, რომელიც პომოსექსუალებს წარმოაჩენს ვიკტიმიზირებულ და დეგრულ უმცირესობად, რაც ეფუძნება აშკარა სიცრუესა და სიყალბეს.

მთელ რიგ დემოკრატიულად წოდებულ ქვეყნებში თავიანთი პომოსექსუალური მიდრეკილების წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებს გეო-მოძრაობის წარმომადგენლები აშინებენ, უწყობენ ინტრიგებს, რადგან ისინი თავიანთი არსებობითა და შეხეძელებებით უარყოფენ პომოსექსუალიზმის ადგანტების მიერ იდეოლოგიურად მოტივირებულ და საყოველთაოდ თავსმოხვეულ ცრუ თეზისს იმის შესახებ, რომ პომოსექსუალიზმი არის ბიოლოგიურად დეტერმინირებული (თანდაყოლილი) სექსუალობა.

სახელმწიფო უნდა იცავდეს იმ ადამიანების უფლებებს, რომლებსაც შეიძლება აქვთ პომოსექსუალური მიდრეკილებები, მაგრამ ებრძვიან მათ და სურთ, დაძლიონ ისინი.

2. მითი პომოსექსუალების დისკრიმინაციის შესახებ

პომოსექსუალიზმის იდეოლოგიის გავრცელებისა და საზოგადოებაზე მისი ძალადობრივად თავსმოხვევის დაფარვის მიზნით გამოიყენება ერთ-ერთი ძირითადი წერტილი, - მითის გავრცელება იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, ხდება პომოსექსუალების მასობრივი დისკრიმინაცია. მოთხოვნა იმისა, რომ ჩათვალიონ პომოსექსუალები და მათი გაერთიანებები დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლად და ამ ჩაგვრის მათ მიერ მოყვანილი არვუმენტები მივიჩნიოთ აპრილ ჭეშმარიტად და კრიტიკასთვის დაუშვებლად, პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართალისა და რიგი საერთაშორისო აქტების პრინციპებსა და ნორმებს, და აქვთ აშკარად მნიშვნელოვანი ზასიათი. პომოსექსუალიზმის პროპაგანდისტებს

საზოგადოება განზრახ შეჰქავთ შეცდომაში, როდესაც აცხადებენ, რომ პომოსექსუალისტები განიცდიან დისკრინაციას, დამცირებას და წარმოადგენ დანაშაულებრივად ხელყოფილ უმცირესობას და ამიტომ ისინი, ყველა დანარჩენ მოქალაქებთან შედარებით, უნდა აღიჭურვონ განსაკუთრებული უფლებებითა და პრივილეგიებით. ასეთი მტკიცება არის სიცრუე, ხოლო დისკრიმინაცია - ფიქცია.

საქართველოში არ არის დაფიქსირებული პომოსექსუალთა მასობრივი დევნა მათი სექსუალობიდან გამომდინარე, ხოლო ცალკეული შემთხვევები ფონურს არ სცდება.

ცალკე განზიღვის საგანია ის შემთხვევები, როდესაც საქართველოში პომოსექსუალები ცდილობენ პროპაგანდისტულ მსვლელობებს, გეო-აღლუმების გამართვას, როდესაც სრულიად აშკარა იყო, რომ ეს ხდებოდა ნაც.-ხელისუფლების არა მარტო ხელშეწყობით, არამედ დაკვეთითაც. ამ შემთხვევაში პომოსექსუალები აწყდებოდნენ საზოგადოების მხრიდან სამრთლიან პროტესტს.

ის, რომ ამ შემთხვევებში არ იყო დისკრიმინაციული მიღომა, ამის დასტურად სრული პასუხუმგებლობით ვაცხადებთ, რომ ზუსტად იმავე სახისა და სიმწვავის პროტესტს გამოიწვევს და წააწყდება ნებისმიერი სხვა ჯგუფის, თუნდაც სექსუალური უმრავლესობის წარმომადგენელთა რომელიმე დაჯგუფების მცდელობა, მოახდინოს უზნეობისა და გარევნილების სავარო დემონსტრირება ქუჩებში და მოაწყოს პროპაგანდისტული მსვლელობები ამ გარეუნილების საქადაგებლად და გასავრცელებლად. მორწმუნე საზოგადოებისთვის მოუღებელია პომოსექსუალზმი, როგორც სიძამ-მრუშობა, ისევე, როგორც სიძამ-მრუშობის ნებისმიერი სხვა სახეობა და არა ის, რომ ის სახელმობრ პომოსექსუალიზმია. სხვათა შორის, ისიც ფაქტია, რომ ჩვეულებრივი სექსუალობით მრუშობის ცოდვაში გაცილებით მეტი ადამიანია ჩავარდნილი, ვიდრე საკუთრივ პომოსექსუალიზმში და თითქოს მათ მეტი უფლება აქვთ იქადაგონ თავინთი ცოდვა, მაგრამ სრულიად დარწმუნებულები ვართ, რომ თუკა ამ ცოდვის მიმღებები გადაწყვეტნ ქუჩებში თვითმო ცოდვის

პროპაგანდას, საზოგადოება წინ აღუდებება ამას. ეს ნათელი დასტურია იმისა, რომ საქმე არა გვაქვს მიკერძოებასა და დისკრიმინაციასთან.

ის, რასაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თავისი რწმენიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე უზნეობად მიიჩნევს, იქნება ეს სექსუალური ზასიათის თუ სხვა რამ სახის ცოდვა, ამ უზნეობისა და ცოდვის პროპაგანდასა და ტირაჟირებას ეს უმრავლესობა ვერ შეეგუება და წინ აღუდება. მაგალითისათვის, თუ ქუჩაში კლებტომანთა ან ნარკომანთა ჯგუფი გამოვა და შეეცდება თავისი ცოდვის პროპაგანდას, მას წინ აღუდება საზოგადოება თავისი უმცირესობა-უმრავლესობით, პომოსექსუალთა ჩათვლით.,

ამ რამდენიმე წლის წინ ერთი საინტერესო შემთხვევა მოხდა იტალიაში, როდესაც ეწ. კათოლიკური „ეკლესიის“ გარშემო მსოფლიო სკანდალი ატყდა და კათოლიკე პადრეებს მასობრივად დასდეს ბრალი პედოფილიაში, - 10 ათასობით მოზარდის გაუპატიურებაში დადანაშაულებული იქნა ათასობით პადრე, - ამერიკელ ექსპერტთა გამოკვლევით, - პადრეთა 10-14%. ახლა კი ინგებს ვატიკანის მესვეურებმა თავის შეწუხება, მოუხადეს ბოლიში მთელ მსოფლიო თავიანთი პედოფილი პადრეების გამო და განაცხადეს, რომ ეს მართლაც დიდი პრობლემაა. ამასთან ზოგიერთმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პედოფილია იკვებებოდა პომოსექსუალიზმით, ანუ პედოფილებად გვევლინებოდნენ პომოსექსუალი პადრეები (დააკვირდით, რა ზნეობრივი დაცემის გზაზე საკრებულო, რომელიც თავს კათოლიკურ ეკლესიას უწოდებს!). ასეთი განცხადების გამო დიდი აღშფოთება და პროტესტი გამოხატა იტალიის პომოსექსუალთა ლიდერმა სერუიო ჯუდიჩემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პედოფილია დიდი ბოროტებაა და პომოსექსუალისტებზე მისი პროვოკირების გადაბრალება დიდი უსამართლობაა და ჩვენი, პომოსექსუალების შეურაცხყოფაათ.

ხედავთ, პედოფილია დღეს მთელი საზოგადოებითსვის მიუღებელია ისევე, როგორც გუშინ იყო პომოსექსუალიზმი. პედოფილიის წინააღმდეგ გამოდიან პომოსექსუალებიც. ვთქვათ და

პედოფილებმა მოინდომეს აღლუმის გამართვა თვიანთი უფლებებისა და პედოფილის პროპაგანდისათვის, დარწმუნებულები ვართ, რომ მთელი საზოგადოება, პომოსექსუალების ჩათვლით, ხმას აღიძარღვეს მის წინააღმდეგ.

ჩვენ კი სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: თუ პომოსექსუალებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს საქართველოში, და სახელმწიფომ კანონმდებლობით არ შეზღუდა პომოსექსუალიზმის პროპაგანდა, გეი-აღლუმები და სხვა პროპაგანდისტულ-საჩვენებელი ღონისძიებები და მსვლელობები, თუ სახელმწიფომ მწვანე შუქი აუზოთ პომოსექსუალიზმს, ხვალ იმავეს პედოფილები მოითხოვნ. ამის ნიშნები, სამწუხაროდ, დასავლეთის რიგ ქვეყანაში უკვე შეინიშნება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, როგორც პომოსექსუალიზმის მიმართ შეცვალა თავისი დამოკიდებულება რამდენიმე წლის წინ, ასევე შეცვლის ხვალ თავის დამოკიდებულებასა და შეფასებებს პედოფილის მიმართ. ასეთი ლიბერალიზაციის ნიშნებიც პედოფილიასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, უკვე არსებობს. პედოფილის შეძლევ კი კარზე ინცესტი მოგვიგაცუნებს.

ამგვარად, პომოსექსუალების მერ მათ დისკრიმინაციაზე საუბარი არაკეთილსინდისიერებისა და დეზინფორმაციის აშერა ნიშტაა, რომელიც მიზნად ისახავს მიაღწიოს სექსუალური უმცირესობათა იდეოლოგიისა და მათი ვიწრო ჯგუფური ინტერესების ტოტალურ დიქტატურა და დომინირებას მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების წესსა და ზნეობრივ ფასულობებზე. ეს არის მცდელობა, „დაასაბუთოს“ პომოსექსუალთა მიერ სხვა მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელყოფის კანონიერება და გაამართლოს ეს ხელყოფა. აი, სინამდვილეში ვინ არის მოძალადე და ხელმყოფელი.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წევრ-ქვეყნების მიმართ 31.03.2010წ. №ჩ /ღ ჩ(2010)5 რეკომენდაციის მტკიცებები იმის შესახებ, რომ პომოსექსუალები დღემდე განიცდიან „პომოფობის, ტრანსფობის და მოუთმენლობისა და

დისკრიმინაციის სხვა ფორმებს, თვით მათი ოჯახის შეგნით - სისხლისსამართლებრივი დევნის, მარგინალიზაციის, სოციალური გარიყვისა და ძალადობის ჩათვლით“, ასევე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (08.10.2010წ. №1765 (2010), 29.04.2010წ. №1728 (2010)) მსგავსი გამონათქვამები იმავე საკითხთან დაკავშირებით, ემსახურებიან არა იმიერტური სურათის შექმნას საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ურთიერთობების პრობლემურ კერძო საკითხზე, არამედ წარმოადგენენ ცალმხრივ და მიკერძოებულ პოზიციას პომოსექსუალების ზემოთ ხსენებული დიქტატის განსახორციელებლად და მათთვის პრივილეგიების მისანიშებლად. როდესაც პომოსექსუალური ნიშნით გამოხატული შემთხვევები ფონურს, საშუალოსტატისტიკურს არ სცდება, მაშინ მათი წინ წამოწევა და განზოგადება, როგორც ეს ზემოთ ხსენებულ დოკუმენტებსა და ასევე სხვა დოკუმენტებშია გაცემებული, აშერა ტენდენციურობის გამოხატულება. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს სინამდვილისთვის ისინი შეუსაბამონი არიან.

ამასთან, ცნობილია, რომ იმის ფონზე, რომ პომოსექსუალთა დევნის აშერად გამოხატული ფაქტები (ყოველ შემთხვევაში, იმ მასტებით, რაზეც პომოსექსუალიზმის ადეპტები საუბრობენ) აშერად არ არის, საზღვარგარეთის ქვეყნებში ფიქსირდება ასეთი ფაქტების ფალსიფიცირება პომოსექსუალზმის პროპაგადისტების მიერ. ამის ნათელი მაგალითია შემთხვევა, რომელიც მოხდა 2000წ. 7 აპრილს გეი-მოძრაობის აქტივისტ დუაიტ უოლკერთან დაკავშირებით ვერმონის შტატში (აშშ), რომლის ავტომობილსაც ცეცხლი წაუკიდეს ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც განიზიდებოდა ვერმონის შტატის კანონპროექტი პომოსექსუალი წყვილების ქორწინების ჰეტეროსექსუალ წყვილთა ქორწინებასთან გათანაბრების თაობაზე. პომოსექსუალზმის იდეოლოგებმა ეს ინციდენტი მოულ ვერმონის შტატში გამოიყენეს პომოსექსუალების დისკრიმინაციისა და დევნის „მტკიცებად“, და ამტკიცებდნენ, რომ ერთსქესიანი

ქორწინებების კრიტიკა არის უკანონო დევნის ერთ-ერთი ფორმა. მაგრამ მოგვიანებით დ. უოლკერმა აღიარა, რომ თვითონ წაუკიდა ცეცხლი თავის ავტომობილს: „**მე დავწერ, რდგან მინდოდა, რომ ხალხის თვალში მსხვერპლი კოოფილიყვავი**“: გაზეთ „ბოსტონ გლობის“ ცნობით, დ. უოლკერი წარსდგა სასამართლოს წინაშე მე-3 ხრისხის ხანძის გაჩერისათვის და ოფიციალური პირებისათვის ცრუ განცხადებების მიცემისათვის.

ჰომოსექსუალისტების დისკრიმინაციის შესახებ ცნობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკულად ყველა მათგანი არ განკუთვნება საკუთრივ დისკრიმინაციას საყოველთაოდ მიღებული იურიდიული თვალსაზრისით; მათი აპსოლუტური უმრავლესობა დაუსაბუთებელი და დაუმტკიცებელია, ხშირად აშკარაა დისკრიმინაციის ინციდენტება დადგმული სცენარის მიხედვით და უცნობი პირების მონაწილეობით, რაც, მაგალითად მოხდა თბილისში 2012 წ. 18 მაისს, როდესაც ხელისუფლების მიერ საგანგონდ გამოყვანილმა 15-20 კაციანმა ლგბტ ჯგუფმა სცადა მსვლელობის მოწყობა თბილისის ქუჩებში. საზოგადოების დიდმა ჯგუფმა მოახდინა მათი პიკეტირება, გზა გადაუდობა მათ და ასე შეაჩერა მათი მსვლელობა. მაგრამ დაპირისპირება მაინც მოხდა მსვლელობის მონაწილეებსა და უცნობ პირებს შორის, რომელიც, შემდგომ, პიკეტის მოწყობებს დააბრალეს ჰომოსექსუალიზმის აპოლოგეტებმა. არადა, სულ ადვილი იყო ფიზიკურ დაპირისპირებაში მყოფი პირების ადგილზევე დაკავება, მით უმეტეს, მათი იდენტიფიცირება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან ვიდეო კადრებში თვალნათლივ ჩნდს ყველა ისინი, ვინც ჩხუბობდა, იგინებოდა და ა.შ. ეს არ გაკუთდა, რადგან ასეთ შემთხვევაში გაირკვეოდა, რომ ამ ინციდენტში მოპიკეტები კი არ იღებდნენ მონაწილეობას, არამედ მათოვის უცნობი პირები, და, შესაბამისად, დისკრიმინირებისა და დევნის შესახებ განცხადებებიც ვერ გაკეთდებოდა.

ჰომოსექსუალისტების ასეთ დეზინფორმაციას და ფალსიფირებას აქვს ის კერძო მიზანიც, რომ ჰომოსექსუალისტებს

განონით მიანიჭონ განსაკუთრებული უფლებები, პრივილეგიები. ამასთან, ასეთი მოთხოვნების დაგმაყოფილებაზე უარს ისინი ასევე „დისკრიმინაციად“ განიხილავნ.

ჰომოსექსუალისტების მიერ მოთხოვნილი განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები შემდეგია:

- „უფლება“ იმისა, რომ დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად აწარმოონ ჰომოსექსუალიზმის საჯარო პროპაგანდა, ანუ, ფაქტობრივად“ - თავს მოახვიონ ჰომოსექსუალიზმი არაჰომოსექსუალისტებს, მათ შორის, ბავშვებს;

- „უფლება“ იმისა, რომ სრულად აკრძალონ ნებისმიერი, თვით დასაბუთებული, კრიტიკა ჰომოსექსუალიზმისა, ჰომოსექსუალისტების ნებისმიერი ქედებისა;

- „უფლება“ იმისა, რომ იდევნებოდენ ადამიანები მათი იმ შეხედულების გამო, რომ ისინი ჰომოსექსუალიზმს ცოდვად და არანორმალურ მოვლენდ მიიჩნევენა ანუ განხორციელდეს დევნა ჰომოსექსუალიზმის კრიტიკისათვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების ჩათვლით;

- „უფლება“ იმისა, რომ ჰომოსექსუალისტები გამოყოფილ იქნენ მოსახლეობის ძირითადი წევრებისაგან, როგორც განსაკუთრებული სოციალური ჯგუფი და აღქურვილ იქნენ ისინი პრივილეგირებული სამართლებრივი სტატუსით;

სავსებით ცხადია, რომ არ შეიძლება მოხდეს ჰომოსექსუალისტების ყველა ზემოთ მოყვანილი მოთხოვნის რეალიზება საკანონმდებლო დონეზე, რადგან ისინი იურიდიულად დაუსაბუთებელი არიან, მრავლი მათგანი ასურდული და მუღლებლად დემოკრატიულ და სამართლებრიობაზე აპელირებით თავდაყირა დაყენონ სწორედ ეს დემოკრატია და სამართლი. ამიტომცაა, რომ სულ უფრო ხშირად საუბრობენ დემოკრატიაზე, როგორც უმრავლესობაზე უმცირესობის მიერ დიქტატის განხორციელების მქანიზმზე.

პომოსექსუალზმის იდეოლოგების მიერ სამართალდამცველობითი რიტორიკით მანიპულირება ჩშირად იმით გამოიხატება, რომ თავისუფლებას და უფლებას ისინი განმარტავენ, უპირველეს ყოვლისა, როგორც სხვა პირების მიმართ იმის მოთხოვნის საფუძველს, რათა მათ უზრუნველყონ პომოსექსუალისტები და მათი ერთობები პრივილეგირებული პირობებით, რომელთა დროსაც სხვა პირების უფლებები და ტრადიციული ფასეულობები დარღვეულია ან ხდება მათი ნიველიება. ამასთან პომოსექსუალიზმის პროპაგანდისტები, ფაქტობრივად, უარყოფენ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ კონვენციის დადგენილებას (მუხლები 10 და 11), რომელთა თანახმადაც უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება მათ, რომელთა უფლებები და თავისუფლებები ხორციელდება, ავალდებულებს და აკისრებს პასუხისმგებლობას, დაკავშირებულს გარკვეულ პირობებთან, ფორმალობებთან, შეზღუდვებთან ან სანქციებთან, რომლებიც განისაზღვრებიან კანონით და რომლებიც აუცილებელი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების, საზოგადოებრივი წესრიგის, უწესრიგობებისა და დანაშაულის აღკვეთის, ჯანმრთელობისა და ზნეობრიობის დაცვის ან სხვა პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებსა და ნორმებზე, ასევე დამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებზე დაყრდნობით, სახელმწიფოს არა აქვს უფლება პომოსექსუალისტებისა და მათი გაერთიანებებისათვის დაადგინოს რამე განსაკუთრებული პრივილეგირებული სამართლებრივი რეჟიმები, არა აქვს უფლება შეზღუდოს აზრისა და სიტყვის თავისუფლება პომოსექსუალიზმის მიმართ კრიტიკის ფორმირებისა და საჯაროდ გამოხატვის ნაწილში, არა აქვს უფლება, მოახდინოს ასეთი კრიტიკის კრიმინალიზირება და აკრძალოს იგი, არა აქვს უფლება პომოსექსუალიზმისა და პომოსექსუალიზმის იდეოლოგის კრიტიკისებს მაწყბოს „პომოფობის“ იარღიყვა, რადგან

სახელმწიფო ვალდებულია დაცვას საზოგადოებრივი ზნეობრიობა, ოჯახური ცხოვრების ზნეობრივი საფუძვლები, რადგან იჯახის ინსტიტუტი არის საზოგადოების საფუძველი, ხოლო ზნეობრიობა არის კონსტიტუციურად დაცული უფლება მოქალაქეებისა, განმტკიცებული საკონსტიტუციო შეთანხმებით (კონკორდატით) სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლის კონსტიტუციური უფლებების დაცვას, გვერდს ვერ აუვლის კონკორდატს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის უფლებების, რწმენის, ზნეობისა და ტრადიციული ფასეულობების დაცვის გარანტიად ეკლესიაც გამოდის.

პოლიტკორეექტულობიდან და საეჭვო პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, პომოსექსუალისტებისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება შეუძლებელია, რომ მოტივირებულ იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პოზიციის იდეოლოგიურად მოტივირებული ინტერპრეტირებებით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპის კონვენციაში დაცული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არადეკვატური განმარტებებით, რადგან უმრავლესობა ვერ შეეგუება დემოკრატიის სახელით მასზე უმცირესობის დიქტატის.

თავი VI

ადამიანის უფლებების დარღვევა და ადამიანის ღირსების შელახვა „გეო- აღლუმის“ ჩატარებისას

„გეო-აღლუმებს“, რომელთა ჩატარებასაც ასე გულმოდგინედ ცდილობდნენ აწ უკვე ყოფილი ნაც.-ხელისუფლების მიერ წახალისებული მცირე ადგილობრივი (2012წ. 18 მაისი) თუ საზღვრებრივი საგანგიოოდ ჩამოყვანილი (2010წ. 26 აგვისტო, ბათუმი) ჯგუფები, არანაირი კავშირი არა აქვს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასთან, იგი ასევე არ არის პროტესტის ფორმა, მიმართული რამე ნიშნით წარმოებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ, არამედ ეს არის ჰომოსექსუალიზმის აგრესიული პროპაგანდის ფორმა, რომლის მიზანია ჰომოსექსუალიზმი წარმაჩინის ნორმალურ და პრესტიულ ცხოვრების წესად, სექსუალური ურთიერთობებისა და სექსუალური ქცევის ნორმად. ამ ძირითადი მიზნის გარდა, „გეო-აღლუმის“ ჩატარებას საქართველოში ის მიზანიც ჰქონდა, რომ საზოგადოების მხრიდან „გეო-აღლუმის“ პროპაგანდისტული მიზნის წინააღმდეგ გამოხატული სამართლიანი პროცესტი ჰომოსექსუალიზმის აპოლოგეტებს წარმოეჩინათ ჰომოსექსუალების დისკრიმინაციად, დენად, და, შესაბამისად, დასაკლეთიდან მოქოვებინათ მხარდაჭერა და, რაც მთავარია, დაფინანსება სხვადასხვა გრანტის სახით. ამიტომაა, რომ საქართველოში ამ ბოლო დროს სოკოებივთ მომრავლდნენ „ლგბტ“ (ლესბოს-გეი-ბისექსუალ-ტრანსექსუალებ) ხასიათის მქონე ნაირნაირი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა დესტრუქციული საქმიანობა მიმართულია ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის

რწმენის, აღმსარებლობის, მსოფლმხედველობის, ტრადიციებისა და ფასეულობების წინააღმდეგ.

იდეოლოგიური კუთხით, ე.წ. „ლიბერალური“ სიმანდვილეში კი ფსევდოლიბერალური იდეოლოგია, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ჰქონის ლიბერალიზმთან, ებრძვის ტრადიციულ, დომინანტურ იდეოლოგიას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლობის წარმოშობის გამოიწროთ და ჩამოყალიბდა საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ იდენტობად, ეროვნული იდეოლოგიის ქაკუთხებდა, რომლითაც ვლელ საუკუნენი, მრავალჯერ ვძლიერ ძლევითა საკიონველითა ქვიშაზე უმრავლეს მტერს, შევინარჩუნეთ სარწმუნოება, ეროვნულობა, ენა და მამული, შექმნით თვითმყოფადი კულტურა, გამორჩეული ფასეულობები და ყოფით დონეზე შენარჩუნებული ურთიერთობათა ტრადიციები, - მეუბრობა, დედაშვილობა, მამა-შვილობა, უფროს-უმცროსობა, ოჯახიშვილობა, გვარიშვილობა, წინაართა პატივისცემა, უპოვართა და გაჭირვებულთა თანადგომა და მრავალი სხვა, ყოველივე ის, რაც გამქრალია კაცობრიობის შემადგენელ ერთა ყოველდღიური, ყოფითი ცხოვრებიდან.

ჩვენი ეროვნული „მეს“, ჩვენი იდენტურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება რწმენის თანამდევი და მსთან ერთად სამოქმედო იარაღი - ზნეობრიობაა, ზნეობრიობა, რომელიც მიუღებელია ფსევდოლიბერალიზმისათვის და რომელსაც იგი გააფთრებით ებრძვის, ცდილობს ზნეობის წილ დანერგოს უზნეობა, უბიწობის წილ - გარევნილება, სიმვა-მრუშმბა, მისი ყველანაირი გამოყლინებით, ჰქონის თავისუფლების წილ - ვნებისადმი მონება, რასაც არქევს თავისუფლებას და გამოაქს ლოზუგად „რაც მოგესურება, ის აკეთე“, მთავარი მიზანი - სიმოვნებაა, მთავარი მოქმედი პირი - ვნებაა. ფსევდოლიბერალიზმი შემოქმედია სექსუალური რევოლუციებისა, ათასი ჯურის ჰომოსექსუალური, ფემინისტური მოძრაობებისა და სატანისტური ორგანიზაციებისა.

მისი მთავარი სამიზნე ეკლესია და ოჯახია, საზოგადოებრივი ფენტებიდან კი - მოზარდი თაობა.

პომოსექსუალური მსვლელობების მიზანი არ არის „განამტკიცოს ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა მიმართ პატივისცემა, სექსუალური უმცირესობების მიმართ ტოლერანტული ურთიერთობისკენ მოწოდება“. ეს, ერთი მხრივ, არის ბიზნეს-პროექტი, რასაც ადასტურებს „გეი-აღლუმების“ ჩატარების გამოცდილება რიგ ქვეყნებში (აშშ, ავსტრალია, გერმანია და სხვ.), ათასგარი ლგბტ და სხვა სახის ორგანიზაციების მიერ დასავლეთის საფინანსო და იდეოლოგიური ინსტიტუტებიდან „გრანტების გამომუშავება“; მეორე მხრივ, - ეს არის პროპაგანდისტული ღონისძიება, რომლის მიზანია საზოგადოების მაქსიმალურად დიდ ნაწილში პომოსექსუალური იდეოლოგიის მიღებისა და ინტროექციის მიღწევა.

სახელმწიფოს მიერ სექსუალური ორიენტაციის არჩევის თავისუფლების აღიარება (საქართველოს კონსტიტუციაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი) არ აძლევს პომოსექსუალებს საფუძველს იმის უფლების მითვისებისა, რომ თავს მოახვიონ სხვა მოქალაქეებს თავიანთი პომოსექსუალური მიღრეკილებები და აზრები, ხელყონ უმრავლესობის უფლებები, მით უმეტეს, განახორციელონ პომოსექსუალიზმის საჯარო პროპაგანდა ადამიანთა შემოუსაზღვრელი წრისათვის, ბავშვების ჩათვლით. „გეი-აღლუმების“ ჩატარების დასაშვებობა უნდა განვიხილოთ ხენებული ღონისძიებების შინაარსისა და ფორმის შეფასების კონტექსტში, ასევე იმ ზემოქმედების ანალიზს კონტექსტში, რომელსაც პარენტებს „გეი-აღლუმი“ ბავშვებზე და იმ უნებურ მაყურებელზე, რომლებიც არ იზიარებენ პომოსექსუალურ მოსაზრებებს.

როგორც მითითებულია ეპროპის საქონი მინისტრთა კომიტეტის წევრ-სახელმწიფოებისადმი 09.09.1991წ. № R(91)11 „სექსუალური ექსპლუატაციის, პორნოგრაფიის, პროსტიტუციის,

ბავშვებითა და ახალგაზრდობით ვაჭრობის შესახებ“ რეკომენდაციის პრეამბულაში, ადრეული სექსუალური აქტივობა შეიძლება მავნე იყოს არასრულწლოვანთა სოციალურ-ფსიქოლოგიური განვითარებისათვის.

„გეი-აღლუმი“ - ეს გარევნილი მოქმედებების პროპაგანდაა, რომელსაც თან ახლავს პომოსექსუალური ქმედებების დემონსტრირება, განმრყენელი მოქმედებების განხორციელება და იმიტირება, ისეთი ქმედებები, რომლებიც ბავშვებთან დაკავშირებით შეიძლება შეფასდეს, როგორც განმრყენელი, განმხრწნელი მოქმედებები, მაღლობრივტირებელი სექსუალურ-ეთიკური თვალსაზრისით.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარებული „გეი-აღლუმების“ შინაარსისა და ფორმის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ მათი ზოგადი ნიშან-თვისებები, როგორებიცა:

- ვულგარულობა, საგანგებოდ მოჭარბებული ჭრელა-ჭრულა ფერადოვნება და ეპატაჟურად ჰიპერტროფიული პომპეზურობა, განმსჭვალული პომოსექსუალიზმის იდეოლოგითა და გარევნილებით, რაც ამ იდეოლოგიას გადმოცემს სამოსის საშუალებით, სამოსისა, რომელიც გამოსახავს სექსობრივ თავაშვებულობას;

- ორგანიზაციონური და ძირითადი მონაწილეების ქცევის აფექტურია, მათი ქმედებების უსაშისობა (პომოსექსუალური აქტის გახორციელების საჯარო იმიტაცია, სხვა ფიზიკური კონტაქტები, რომელებიც „გონიერ ადამიანს ესმის, როგორც პომოსექსუალურ აქტში მონაწილეობის მიღრეკილების ან განზრანების დემონსტრირება“ (გამოყენებულია აშშ-ს კანონთა კრებულის მე-10 ტიტულის „შეიარაღებული ძალები“ A სუბტიტულის „საერთო სამხედრო კანონი“ II ნაწილის „პირადი შემადგენლობა“ 37-ე თავის „მსახურების მიმართ ზოგადი მოთხოვნები“ 654-ე მუხლისა „პომოსექსუალიზმის მიმართ პოლიტიკა შეიარაღებულ ძალებში“ პარაგრაფ «f»-ში „გამარტიტებები“ მოყვანილი აღწერა (<http://uscode.house.gov/download/pls/10C37.txt>);

უხამსი უესტების საჯარო ჩვენება, გაშიშვლებული დუნდულების ურცხი ჩვენება და ა.შ.);

- უხამსი, გამომწვევი კოსტიუმები, აგრესიულად ვულგარული, მისი ძირითადი მონაწილეების განზრას ეპატაჟური გარევნობა (მამაკაცები, სგანგებოდ გამოწყობილი ქალის საცვლებში, ბუტაფორიულ ბიუსტკალტერებში და შეგავსი; სოდომმაზოხისტური ატრიბუტიკა და ა.შ.), რომლებიც შეურაცხყოფენ იმ პირთა გრძნობებს, რომლებიც არ გველინებიან ჰომოსექსუალისტებად;

- ღონისძიების ჩატარება ღამა, დასწრებისთვის თავისუფალ სივრცეში, სადაც იმყოფება იმ პირთა შემოუსაზღვრელი წრე, რომლებიც არ არიან ჰომოსექსუალისტები, რაც გათვლილი მასიმუმი, მათ შორის და უპირველეს ყოვლისა, უნებურ მაყურებელზე;

- პროვოკაციულობა, ისეთი სიტუაციის გაცნობიერებული დაშვებულობა ან გაცნობიერებული მიზანმიმართულობა, რომელშიც მოხდება განსხვავებული სოციალური ჯგუფების ინტერესების დაპირი პირება.

როგორც გვიჩვენებს ჩატარებული „გეი-აღლუმებისა“ და მათი ორგანიზატორების გამოსვლები, ამ საჯარო ღონისძიებების არს ს არანაირი კაშირი არა აქვს სამართალდამცველობით ღონისძიებასთან და დაკავშირებულია შემდეგ ძირითად მიზნებთან:

- იმის ფონზე, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ჰომოსექსუალიზმს ცოდნად, უზნეო, ამორალურ საქციილად მიჩნევს, მოახდინოს აზრის ფორმირება, რომ ჰომოსექსუალიზმი არის სოციალური ნორმა, ხოლო მის შესახებ, როგორც ცოდვაზე, უმრავლესობის მოსაზრება არის მოძველებული წარმოდგენი, სტერეოტიპები, მოკლედ არის ჩამორჩილობა;

- გახადოს ჰომოსექსუალიზმი საზოგადოებრივ ცნობიერებაში, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობაში, მიზნიდველ სახედ;

- თავს მოახვიოს საზოგადოებას ფსიქოლოგიური განწყობა იმასთან დაკავშირებით, რომ ჰომოსექსუალიზმი არის სოციალურად

მამზიდველი, პრესტიჟული, პროგრესული და ელიტარული ცხოვრების წესი და ქცევა;

- მოახდინოს თანამდევი ბიზნეს-მიზნების რეალიზება.

„გეი-აღლუმის“ ინფორმაციულ-ფიქოლოგიური ზემოქმედება მიმართულია პირთა შემოუსაზღვრელი წრისკენ, რომლებიც არ არიან ჰომოსექსუალები, მაგრამ იმულებული არიან, მათი სურვილის საპირისპირო, უყუროს ჰომოსექსუალთა ქმედებებს და ისმინონ მათი განცხადები, შედეგად, - იმყოფებოდნენ უნებური აღქმის, რეცეპციის (ათვისების), მისი ზემოქმედების განცდის პირობებში. გასაგებია, რომ „გეი-აღლუმის“ ეპატაჟურობა, საგანგებოდ აჭრელებული ფერადვნება და პიპერტორიფული პომპეზურობა, მოჭარბებული ვულგარულობა და მისი მონაწილეების უხამსი საქციელი იქცევს საზოგადოების ყურადღებას, პირველ რიგში, საზოგადოების ფსიქოლოგიურად ნაკლებად მდგრად ნაწილში, რომელსაც, ძირითადად ბავშვები შეადგინენ, რომლებსაც ჯერჯერობით მყარად არა აქვთ ათვისებული მათოვის აუცილებელი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული სოციოლოგიური ნორმები. სწორედ არასრულწლოვნები შეადგინენ მეტად მგრძნობიარე, აღქმელ და ზემოქმედებას დამქეობებარებულ აუდიტორიას.

როგორც აღნიშნულია ბავშვთა გადარჩენისადაცვისა და განვითარების მსოფლიო დეკლარაციის (ნიუ-იორკი, 30.09.1990) მე-2 პუნქტში: „**მსოფლიოს ბავშვები მოწყვლადნი და დამოკიდებული არიან**“. ბავშვთა სწორედ ამ თვისებებს იყენებენ ცინიკურად „გეი-აღლუმების“ ორგანიზატორები, რომლებიც ამგარი ღონისძიებებით თავს აზვევნ ბავშვებს დამანგრეველ ფსიქოლოგიურ განწყობებსა და ამორალურ ფასეულობით ორიენტაციებს, ახდენენ მათზე, არსებითად, ფსიქოლოგიურ ძალადობას.

ასეთ პირობებში და ამ თვალსაზრისით ბავშვებს შორის თავსმოხვეული პროპაგანდა იმისა, რომ ჰომოსექსუალიზმი არის ცხოვრების ელიტარული სახე, სექსუალური ურთიერთობებისა და სექსუალური ქცევის ნორმა, წარმოადგენს ცინიკურად უზნეო და

ანტიკულტურულ ქმედებას, არის ანტისაზოგადოებრივი და კანონსაწინააღმდეგო ქმედება, არის ანტიკუმანური, უხეში მოპყრობა ბავშვებისადმი, ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის მოთხოვნებს, რომლებიც დაცულია ადამიანის უფლებების შესახებ მთელ რიგ საერთაშორისო აქტებში. კერძოდ, ეწინააღმდეგება დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალისა და საზოგადოებრივი წესრიგის სამართლიან მოთხოვნებს (10.12.19 48 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტს).

ამ შემთხვევაში საუბარია ბავშვთა განმრყვნელი და განხრწელი ინტელექტუალური ფორმების განხორცილებაზე. ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო დოკუმენტებში აღიარებულია დასაბუთებულობა იმისა, რომ ზემოქმედების ასეთი ინტელექტუალური (არაფიზიკური) შემადგენლი საგანგებოდ იყოს გამოყოფილი და აღნიშნული. ასევა, მაგალითად, მე-11 მუხლის მე-18 პუნქტში 19 საერთო რეკომენდაციისა, რომელიც მიიღო გაეროს მეთერომეტე სესიაზე ქალთა მიმართ დიკსკრიმინაციისა და ძალადობის ლიკვიდაციის კომიტეტმა (1992წ.), და რომელშიც აღნიშნულია, რომ სექსუალურ ძალადობად შეიძლება გაგებულ იქნეს კერძოდ, სექსუალური კონტექსტის მქონე რეცლიკა, პორნოგრაფიული მასალის ჩენება, სექსუალური მოთხოვნები გამონათქამების ფორმით.

მრავალი ბავშვის მიერ, რომელთაც საკუთარ ოჯახში აღზრდისა და საკუთარი ხალხის გარემოში ცხოვრების შედეგად ჩამოყალიბებული აქვს წარმოდგენა ზენობრიობისა და ოჯახური ფასეულობების შესახებ, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის განხილვისას, მთ უმეტეს - მათზე საჯაროდ და აგრესიულად თავსმოხეული, სამართლიანად იქნება აღქმული, როგორც მათდამი უხეში და ადამიანის ღირსების შემლახველი მოპყრობა. და ეს ნაძვილად ასეც იქნება. ჰომოსექსუალიზმის პროაგანდა მოზარდებში არის უხეში და ადამიანის ღირსების შემლახველი მოპყრობა ბავშვებისადმი, რომელიც ეწინააღმდეგება მთელ რიგ საერთაშორისო დოკუმენტში დეკლარირებულ პრინციპებს, უხეშად არღვევს

საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სამართლის ნორმებს, როგორებიცაა:

- საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს: სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით;
- საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი: ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უგნებელ გარემოში;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი, ასევე იმავე პაქტის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ ფაქტზე ხელმომწერი სახელმწიფოები, მათ შორის, საქართველო, ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ მშობელთა თავისუფლებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამის შესაბამისად;
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ არავინ არ უნდა განიცდიდეს დამამცირებელ და თავისი ღირსების შემლახველ ზემოქმედებას;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის მე-3 მუხლი;
- 20.11.1989წ. გაეროს კონვენცია ბავშის უფლებების შესახებ;
- ევროპის საბჭოს 25.10.2007წ. კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის შესახებ. ჰომოსექსუალიზმის თავსმოხეული პროპაგანდა ბავშვთა შორის ეწინააღმდეგება მთელ რიგ საერთაშორისო დოკუმენტებში დეკლარირებულ პრინციპებს, როგორებიცაა:
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 23.01.2007წ. № 1530 (2007) რეზოლუცია „ბავშვები- მსხვერპლი: ძალადობის, ექსპლოატაციისა და სისასტიკის ყველა ფორმის აღკვეთა“; (http://www.coe.int/T/r/Parliamentary_Assembly/%5BRussian_documents%5D/%5B2007%5D/%5BJan2007%5D/Res1530_rus.asp#TopOfPage);

- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 23.04.1998წ. № 1371 (1998) რეკომენდაცია „სასტიკი მოპყრობა ბავშვებისათვის და ბავშვთა უქმეთვალყურეობა“;
(<http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta98/erec1371.htm>);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 06.10.1987წ. № 1065 (1987) რეკომენდაცია „ბავშვებით ვაჭრობა და ბავშვთა ექსპლუატაციის სხვა ფორმები“;
(<http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta87/erec1065.htm>);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 27.09.2002წ. № 1307 (2002) რეზოლუცია „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია: სრული მოუთმენლობა“;
(http://www.coe.int/T/r/Parliamentary_Assembly/%5BRussian_documents%5D/%5B2002%5D/%5BSep2002%5D/Resol_1307.asp#TopOfPage);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 25.09.1996წ. № 1099 (1996) რეზოლუცია „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია“;
(<http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta96/erec1099.htm>);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 04.10.1979წ. № 874 (1979) რეკომენდაცია „ბავშვის უფლებების ევროპული ქარტის შესახებ“;
(<http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta79/erec874.htm>);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 09.09.1991წ. № ღ(91)11 რეკომენდაცია „სექსუალური ექსპლუატაციის, პორნოგრაფიის, პროსტიტუციის, ბავშვებითა და ახალგაზრდობით ვაჭრობის შესახებ“
(<https://wcd.coe.int/wcd/com.intranet.Instranet.InstranetServlet?command=com.intranet.CmdBlobGet&InstranetImage=572410&SecMode=1&DocId=597946&Usage=2>);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წევრ-ქვეყნებისადმი 31.10.2001წ. № Rec(2001)16 რეკომენდაცია „ბავშვთა დაცვა სექსუალური ექსპლუატაციისგან“.

(<https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?id=234837&Site=CM&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntraet=EDB021&BackColorLogged=F5D383>).

20.11.1989წ. ბავშვის უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, წევრი-სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ არ დაუშვან ბავშვის იძულება ან ჩათრევა წებისმიერ უკანონო სექსუალურ საქმიანობაში. ჰომოსექსუალიზმის იძულებითი პროპაგანდა სავსებით გარკვეულად ითვლება იძულებად (თუნდაც ფისქალოგიური, ინტელექტუალური თუ ემოციური ფორმით) და(ან) ბავშვის უკანონო სექსუალურ ურთიერთობაში ჩათრევად.

საზოგადოების ზეობრიობის ინტერესებიდან გამომდინარე, „გეი-აღლუმების“ შეზღუდვა მთი უძეტეს მართლზომიერია, თუ გავითვალისწინები, რომ „გეი-აღლუმების“ ორგანიატორები, როგორც წესი, პარალელურად კომერციულ მიზნებსაც ისახავენ, რაც აშკარად სცილდება უფლებადამცემლობით რიტორიკასა და იმ მიზნებს, რომლებსაც ასეთი ღონისძიებების ორგანიზატორები აცხადებენ. საზღვარგარეთის ქვეყნების პარაქტიკა გვიჩვენებს, რომ „გეი-კულტურის“, ჰომოსექსუალიზმის, როგორც ცხოვრების წესის ფართომასშტაბიანი პროპაგანდა არის სარფიანი კაპიტალდაბანდება, რადგან ფორმირებული ჰომოსექსუალური ქვესაზოგადოება ხდება შესაბამისი ტანსაცმლის, კოსმეტიკისა და ატრიბუტიკის მუდმივი მომხმარებლი, გეი-კლუბების ხშირი სტუმარი, სარგებლობს ჰომოსექსუალებისათვის განკუთვნილი განსაკუთრებული ტურისტული სააგენტოების მომსახურებით და ა.შ., ანუ ხდება მთელი „ლგბტ“ ინდუსტრიის მომზადებელი. ამასთან იქმნება მთელი განშტოებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ემსახურება ჰომოსექსუალურ ქვესაზოგადოებას, მას, რომელიც ჰომოსექსუალიზმის პროპაგადის გზით სექსუალური ურთიერთობებისა და ადამიანის ცოდვის თემას იყენებს საკუთარი მოგების მიზნით. „გეი-აღლუმი“ არის კომერციული პროექტი

და ეფექტური საშუალება იმისა, რომ მოზიდულ იქნეს წსენებული ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და საქონლის ახალ-ახალი მომხარებელი.

მიუხედავად იმისა, რომ პომოსექსუალიზმის იდეოლოგები გამუდმებით საუბრობენ პომოსექსუალთა უფლებების დარღვევასა და მათ მიმართ ექსტრემისტულ დამოკიდებულების შეხებ, სინამდვილეში სწორედ მათი აქციების დროს ზდება სხვა მოქალაქეების უფლებების დარღვევა პომოსექსუალების ექსტრემისტული ქმდებების გამო. ამის ნათელი მაგალითია არაერთი შემთხვევა, როდესაც პომოსექსუალური ღონისძიების დროს მისი მონაწილენი შეგნებულად ბილწავენ რელიგიურ საკრებულოთა „სიწმინდეებს“, შარდავენ მათ ეზოებსა და სარდაფებში და ა.შ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ, საზოგადოდ, ასეთი ქმედებები ახასიათებთ სატანისტური მიმართულების ორგანიზაციებს, მოძრაობებსა და მათ მიერ გამართულ ღონისძიებებს. ამის შემთხვევები საქართველოშიც იყო. შეგახსენებთ, რომ 2008 წლის ივლისში თბილისის საბურთალოს სასაფლაოზე მოხდა ვანდალური აქტი, საფლავებზე სატანისტური საქრებლოს წარმომადგენლების მიერ დანგრეულ იქნა თეორი ჯვრები. ასევე, 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს, როდესაც ქვეყანა ოშთა დაღუპულ შვილებს გლოვიბდა, იმდროინდელი ხელისუფლების ხელშეწყობით სქართველოს საპატრიარქოსა და სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა ეწ. ჰელოუინის ღონისძიება, რომლის ალკოჰოლური სასმელებითა და ნარკოტიკით გაბრუებულმა მონაწილეებმა შეურაცხვევს მართლმადიდებლური სიწმინდე, - ტუალეტად აქციეს სიონის ტაძრის ეზო, შარდითა და უწმინდურებით წაბილწეს იგი, თან ხმამაღლა უწოდებდნენ სიონის ტაძარს ტუალეტს. პომოსექსუალიზმი, რომელიც მომაკვდინებელი ცოდვის პროპაგანდისტი და გამავრცელებელია, რა თქმა უნდა, სატანიზმს ემსგავსება სიწმინდეებთან დაკავშირებით.

მსგავსი დარღვევები პომოსექსუალისტების მხრიდან არ წარმოადგენ ერთეულ შემთხვევებს, ისინი დამსხასიათებელი არიან პომოსექსუალური იდეოლოგიისათვის და, კერძოდ, „გეი-ალლუმებისათვის“. ასე, მაგალითად, 2008 წლის ნოემბერში 30 პომოსექსუალისაგან შემდგარი ჯგუფი თავს დაესხა ქრისტიანულ ტაძარს ქ. ლენინგრადის მიჩიგანის შტატი, აშშ), წაბილწეს იგი, დააზიანეს და დაამცირეს მორწმუნეთა ადამიანური ღირსება.

თუ ვინმე მიიჩნევს, რომ მსგავსი ფაქტების განხილვა „არაპოლიტიკორექტულია“, მაშინ აშკარაა, რომ „პოლიტიკორექტულობის“ ასეთი განმარტება მიუღებელია დემოკრატიულ სამართლებრივ ქვეყანაში.

ზემოთ აღნიშნული გვაძლევს აუცილებელ და საკმარის პირობას იმ დასკვნის გაკეთებისათვის, რომ საჯარო ღონისძიება „გეი-ალლუმის“ სახით, რომელიც წარმოადგენს პომოსექსუალიზმის პროპაგანდის აგრესიულ ფორმას, არ უნდა იღებდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობასა და პრეფერენციებს.

თავი VIII

მრავალი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, წიგნში შეგვეტანა ბიბლიური ისტორია და სწავლება სოდომურ ცოდვასთან დაკავშირებით. აშშ-ს ზემოთ მოყვანილ (იხ. მე-3 და მე-4 თავები) საკანონმდებლო ნორმებში პომოსექსუალიზმი სახელდებულია უარყოფითი შინაარსის მქონე სიტყვით „სოდომია“. რას უკავშირება ეს სიტყვა, როგორი უნდა იყოს მართლმადიდებლის, და არა მარტო მართლმადიდებლის, მიმართება სოდომის, პომოსექსუალიზმის მიმართ და რას გვასწავლის წმინდა წერილი ამ ცოდვის შესახებ?

სოდომი და გომორი

I. ბიბლია სოდომისა და გომორის შესახებ

1. ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემები

სოდომი - ქალაქის სახელი ითარგმნება, როგორც „ალმოდებული“. გომორი - ქალაქის სახელი ითარგმნება, როგორც „წყალში დანთქმული“ ან „ჩაძირული“.

სოდომი და გომორი - იორდანის მხარის ხუთ ქალაქთაგან ორი, რომლებიც ცეცხლითა და გოგირდით განადგურდა. იორდანის მხარის ეს ხუთი ქალაქია: სოდომი, გომორი, სეგორი (ცოლარი), ადმა (ადამავ) და სებეიმი (ცებოიმი). მათ შესახებ ნახსენებია დაბადებაში, 10:19: „და იქმნეს საზღვარი ქანქელთანი სიღონისაგან და ვიდრე შესლვადმდე გერარად და დაზად, და ვიდრე შესლვადმდე სოდომად და გომორად“, ანუ ქნაანელთა საზღვარი იდო სიღონიდან

გერარის მიმართულებით დაზამდე; სოდომ-გომორი, ადმას და სებეიმის მიმართულებით დაშავამდე.

ყველა ეს ქალაქი მდებარეობდა სიღომის ველზე, სადაც ეხლა მკვდარი (მლაშე) ზღვაა, დაბადება 14:1-3: ‘ზოლო იქმნა მეფობასა არმაფალისასა მეფისა სენარისასა, არიოქ, მეფემან საღასარისამან, და ქოდოლ, გომორის მეფემან, ელამისმან და თარგალ მეფემან წარმართომან. ყვეს ბრძოლად ვარლას თანა, მეფისა სიღომთასა, და ვარსას თანა, მეფისა გომორისა, და სენნარისა, მეფისა ადამისა, და სიმოვორის, მეფისა სებომისა, და მეფისა ვალასა: ესე არს სეგორი. ესე ყოველი შეითქნეს ჭევსა მარილოვანსა, რომელ არს ზღუად მარილთა“. ამგვარად, ყველა ჩამოთვლილი მთავარი შაიკრიბა სიღომის ველზე, სადაც ახლა მლაშე ზღვაა.

რას წარმოადგენდნე ეს ადგილები?

დაბადება 13:10: „და აღმუტებლმან თუალთა თუსთამან ლოთ იხილა ყოველი გარემო სოფლები იორდანისათ, რამეთუ ყოველი იყო სარწყავ, პირველ დაქცევადმდე ღმრთისა მიერ სიღომისა და გომორისა, ვითარცა სამოთხე ღმრთისადა ვითარცა ჭუებანა უგაბტისა, ვიდრე მოსლვადმდე ზოლორად“. ანუ იორდანეს მთელი მხარე ცოლარამდე იორწყვებოდა, როგორც ბაღი უფლისა, როგორც ეგვიპტელთა ჭუებანა. ასე იყო, ვიდრე უფალი არ გაანადგურებდა სიღომსა და გომორს.

დაბადება 14:10: „ზოლო დელე მარილოვანი მთხრებლ მთხრებლოვან არს ასფალტოსითა“. ანუ სიღომის ველზე უამრავი ფისის ჭა იყო.

1. ბიბლია სოდომისა და გომორის მაცხოვრებლების შესახებ

- **ბოროტნი და დიდად ცოდვილნი.** დაბადება 13:13: „ზოლო კაცი სიღომთანი ბოროტნი და ცოდვილნი ფრიად წინაშე ღმრთისათ“. დაბადება 18:20-21: „და ოქუა უფალმან ღმერთმან:

ღაღადებად სოდომთა და გომორთა განმრავლდა ჩემდა მომართ, ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად. გარდავიდე უკუე, ვიხილო, უკუეთუ ღაღადებისაჟბრ მათისა მომავლისა იქცევიან, და, უკუეთუ არა, რათა ვცნა“. ანუ გახშირდა სამდურავი სოდომსა და გომორზე ღმრთის მიმართ, მეტისმეტად დაუმძიმდათ ცოდვები.

- ამ ქალაქებში არ მოიძებნა ათი მართალი, რომელთა გამოც ღმერთი არ გაადგურებდა ამ ქალაქებს. დაბადება 18:23-32: „და მიეახლა აპრაპამ და პრქუა: ნუ თანა წარსწყმედ მართალსა უღმრთოთა თანა და იყოს მართალი, ვითარცა უღმრთო? უკუეთუ იყვნენ ერგასისი მართალნი, წარსწყმედ-ა მათ? არა პრიდო-ა ყოველსა მას ადგილსა ერგასისთა მართალთა ძლით, უკუეთუ იყვნენ მას შინა? არა სადა ჰყო შორის სიტყვსა მისებრ მოკუდინებაბ მართლისა უღმრთოთა თანა და იყოს მართალი, ვითარცა უღმრთო? ნუ სადა რომელი სჯი ყოველსა ქუეყანასა, ნუ ჰყოფ სასჯელსა. და თქუა უფალმან ღმერთმან: უკუეთუ იყვნენ ერგასისი მართალნი სოდომთ ქალაქთა შინა, დაუტეო ყოველი ადგილი მათონს. და მიმგებელმან აპრაპამ თქუა: აწ ვიწყე სიტყუად უფლისა მიმართ, ხოლო მე ვარ მიწად და ნაცარ. უკუეთუ შემცირდენ ერგასისი მართალნი ორმეოცდახუთად, წარსწყმილო-ა ორმეოცდახუთათბს ყოველი ქალაქი? და თქუა: უკუეთუ ვპოვნე მუნ ორმეოცდახუთნი, არა წარვწყმილო. და შესძინა მერმე სიტყუად მისსა მიმართ და თქუა: უკუეთუ იყვნენ ორმეოცნი? და თქუა: არა წარვწყმილო ორმეოციათკს. და თქუა: ნურას, უფალო, უკუეთუ ვიტყოდი-და: იპოვნენ თუ მუნ ოცდაათნი? და თქუა: არა წარვწყმილო ოცდაათთათკს. და თქუა: ვინათგან მაქუს სიტყუად უფლისა მიმართ ჩემისა და თქუა: უკუეთუ იყვნენ მუნ ოცნი? და თქუა: არა წარვწყმილო ოცთათკს. და თქუა: ნუ რაი, უფალო, უკუეთუ ვიტყოდი მერმე ერთგზის-და და იპოვნენ თუ ათნი? და თქუა: არა წარვწყმილო ათთათკს“.

- ამპარტავანნი, ღორმუცელები, უდარდელნი, არამოწყვლენი და სისამაგლის მოქედნი, ეზეკიელი 16: 48-50: „ცხოველ ვარ მე,

- აღონაი იტყეს უფალი, - უკუეთუ ყო სოდომაბან, დამან შენმან მან, და ასულთა მისთა, ვითარსახედ ჰყავ შენ და ასულთა შენთა. გარნა ესე უსჯულოებაბ სოდომისა, დისა შენისა, ამპარტავანებად და სისავსითა პურისადთა და იეფობითა ნუკვეულობდა იგი და ასულინი მისნი. ესე იყო მის შორის და ასულთა მისთა და ჭელსა გლახაკისა და დაგრძომილისასა არა უპყრობდეს, და დიდმოქადულობდეს და ყვნეს უსჯულოებანი წინაშე ჩემსა და აღვიზუებ იგინი, ვითარცა იხილე“. ანუ სოდომელთა, გომორელთა და სხვა მმდებარე ქალაქის მაცხოვრებელთა დანაშაული ღრთის წინაშე იყო ამპარტავნობა, ღორმუცელობა და უდარდელობა, დარიბ-დატაკს ხელს არ უმართავდნენ, გამედილურდნენ და სისამაგლის კეთება დაიწყეს და ღმერთმაც აღგავა ისინი პირისაგან მიწისა.

2. სოდომისა და გომორის განადგურება

სოდომისა და გომორის მაცხოვრებელთა უწმინდურებამ და უკანონობამ მიიყვანა ისინი ამობუგამდე. სოდომისა და გომორის განადგურების სურათი აღწერილია დაბადება 19:15-26-ში. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ ქალაქების დაღუბვის სურათს, დაბადება 19:24-25: „და უფალმან აწომა სოდომსა და გომორსა ზედა წუნწუბად და ცეცხლი უფლისა მიერ ზეციო. და დაქცა ყოველნი ესე ქალაქი და ყოველი სანახები და მოსწყდეს, ყოველნი მეფენი მის ქალაქისანი და ყოველი მცენარე ქუეყანისა“. ასევე დაბადება 19:27:29: „ხოლო აღმისთო აპრაპამ განთად ადგილისა მას, სადა-იგი დგა წინაშე უფლისა. და იყო, დაქცევასა მას უფლისა მიერ ქალაქებისა მის სანახებისასა. მოეწსენა ღმერთსა აპრაპამ და გამოიყუანა ღოლო შორის დაქცევისა მის, რაჟამს დააქცია უფალმან ქალაქები იგი, რომელსა შინა დამტბრებულ იყო ღოლო“. ანუ წავიდა აპრაპამი ღოლადრიანად იმ ადგილისკენ და დადგა იქ უფლის წინაშე. გახედა სოდომსა და გომორს და დაინახა: კვამლი ასდის მიწას, როგორც საკირედან ავარდნილი ბოლი. როცა ამხობდა

ღმერთი იმ მხარის ქალაქებს, სადაც ცხოვრობდა ლოთი, გაიხსენა ღმერთმა აბრაამი და გაარიდა ლოთი ნგრევას.

ლოთის დამოკიდეულება მომხდართან აღწერილია დაბადება 19:30-ში: „აღვიდა ლოთ სეგორით და დაჯდა იგი მთასა ზედა და ასულნი მისი მის თანა, რამეთუ შეემინა დამკუდრებად სეგორს შინა. და დაემჰყდრა ქუასა შინა იგი და ორნი ასულნი მისი მის თანა“. ამგვარად აიყარა ლოთი სეგორიდნ, რადგან იქ ცხოვრების ეშინოდა და მთაში, გამოქვაბულში დასახლდა თავის ორ ქალიშვილთან ერთად.

ცოდნით, რომ სიღომის ველზე მდებარეობდა ზუთი ქალაქი: სოდომი, კომორი, სეგორი, ადმა და სებეიმი. ყველა ისინი გაანადგურა ღმერთმა თუ ზოგიერთი? ამ კითხვაზე პასუხს ვიპოვთ ლოთის სოდომიდან გამოყვანის ისტორიაში, დაბადება 19:15-26:

1) ყურადღება უნდა მიგაქციოთ ლოთისა და ანგელოზების საუბარს, დაბადება 19:15-22: „და ვითარ ცისკარი იქნა, და ასწრაფობდეს ანგელოზი ლოთს მეტყუელნი: აღდევ, მიიყუანე ცოლი შენი და ორნი ასულნი შენი, რომელი გისხენ, და განვედ, რათა არა თანა წარსწყმდე უსჯულოებათა ქალაქისათა. და აღშფონეს და უპყრეს ანგელოზთა ჭელსა მისა და ჭელსა ცოლისა მისისასა და ჭელსა ასულთა მისთასა რიდებასა მას უულისასა მათ ზედა. და იყო, რაუამს გამოიყანეს იგინი გარე და პრქუეს: ცხოვნებით იცხოვნე სული შენი, ნუ უქმოიხედავ უკუდმართ. ნუცა დასდგები ყოველსა შინა გარემო სოფლებთა, არამედ მთად კერძო ივლტოდე, ნუუკუ თანა შეეპყრა. და თქუა ლოთ მათდა მიმართ: გევედრები, უფლო. ვინათგან პოვა წყალობად მონამან შენმან წინაშე შენსა და განადიდე სიმართლე შენი, რომელსა პყოფ ჩემ ზედა განრინებად სულისა ჩემისა. ხოლო მე ვერ ძალ-მიც მიწევნად მთად, ნუუკუ მეწიოს მე ბოროტი ესე და მოვცუდე. აპა ესერა, ქალაქი ესე ახლოს არს მივლტოლად ჩემდა მუნ, რომელ არს მცირე, და მუნ განვერე, და ცხოვნდეს სული ჩემი შენ ძლით. და თქუა მან: აპა, დამიგრდა პირი შენი მსუცა ზედა სიტუაცია, არა დავაქციო ქალაქი, რომლისათვის

სთქუ. ისწრაფე შენ მიწევნად მუნ, რამეთუ ვერ ჭელმეწიფების ფოფად საქმისა, ვიდრე შესლვადმდე შენდა მუნ. ამისთვის უწოდა სახელი ქალაქესა მას სევორ“.

ღმრთის განგებით, სიღომის ველის ზუთი ქალაქი უნდა განადგურებულიყო ცეცხლითა და გოგირდით: ამ მიზეზით ანგელოზებმა გააფრთხილეს ლოთი, რომ იგი არ გაჩერებულიყო იორდანის მხარის არც ერთ ქალაქში, არამედ გაქცეულიყო მთაში. ლოთს ეშინოდა, რომ ვერ მოასწრებდა მთაში გახიზვნას და სთხოვა ანგელოზებს, ნება მიეცათ მისთვის თავი შეეფარებინა სეგორს - სიღომის მხარის ზუთ ქალაქთაგან ერთ-ერთისათვის. ანგელოზები შეპირდინენ, რომ მის გამო სეგორი აღარ განადგურდებოდა, - დაბადება, 19:21: „და თქუა მან: აპა, დამიკპრდა პირი შენი ამასცა ზედა სიღყუასა, არა დავაქციო ქალაქი, რომლისათვის სთქუ“.

2) ყურადღება მივაქციოთ 23-25-ე სტიხებს: „და მზე მოეფინა ქუეყანასა ზედა და ლოთი შევიდა სეგორად. და დაქცია ყოველი ესე ქალაქი და ყოველი სანახები და მოსწყდეს, ყოველი მეფები მის ქალაქისანი და ყოველი მცენარე ქუეყანისა“. ანუ განთიადისას, როდესაც ლოთი შევიდა სეგორს, აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი, დაამხო ეს ქალაქები და მთელი მხარე, ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და დედამიწის აღმონაცენი. ამგვარად, აქ აღწერილია სიღომისა და გომორის განადგურება, ასევე მთელი იორდანის მხარისა, სეგორის გამოკლებით. როგორც ვხედავთ, სიღომისა და გომორის გარდა იმ დღეს კიდევ ორი ქალაქი იქნა განადგურებული. ამის შესახებ უკვე გვიყვება ნაწყვეტი წიგნიდან მეორე რჯული 29:23: „და იყოს ქუეყანად იგი მათი, ვითარცა წუმწუბად და ნამწუარები ცეცხლისად. ნუ იპოქინ ქუეყანასა მათსა თესლი თესვისად, ნუცა საძოვარი ჭარისად, და არცა აღმოსცენდეს მათ ზედა მწუანვილი თივისა და არცა აღმოგდეს, არამედ ვითარცა დაიქცა სიღომად და გომორაბ, ადამად და სებეიმი, რომელ-იგი დააქცია უფალმან ღმერთმან რისხვითა მით გულისწყრომითა რისხვისა მისისათვა“. ანუ გადაიბუგა მთელი

მიწა, რომელზეც არ ითესება და არც არაფერი იზრდება, არანაირი ბალაზი არ ამოღის.

3. სოდომისა და გომორის სიმბოლიზმი

1) ეს ქალაქები გარევნილებისა და უსჯულოების სიმბოლოები არიან, დაბადება 18: 20-21:

„და თქუა უფალმან ღმერთმან: დაღადებად სოდომთა და გომორთა განშრავლდა ჩემდა მომართ, ცოდვინი მათნი დიდ არიან ფრიად“. რომაელთა მიმართ 9:29: „და ვითარცა-იყი წინა სწარ თქვა ესაია, არა თუმცა უფალმან საბაოთ დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომელნიმცა შევიქწენით და გომორელთამცა მივეშვაგნეთ“. მოუხდავად იმისა, რომ ნაწყვეტი წიგნიდან ეზეკიელი 16:49 სოდომსა და გომორს ბრალს დებს ამპარტავნებაში, ეგოიზმსა და უდარდელობაში, სოდომისა და გომორის მაცხოვრებელთა მთავარი ცოდვა ჰომოსექსუალიზმია, რომელსაც ბიძლიაში „სისაძაგლე ღმრთის წინაშე“ (ეზეკიელი 16:50) ეწოდება. ზუსტად იმავე სიტყვით („სისაძაგლე“) არის წოდებული ჰომოსექსუალიზმი ლევინთა 18:22-ში: „და წულისა თანა არა დასწვე საწოლითა დედებრითა, რამეთუ საძაგლე არს“. ანუ არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით, რადგან ეს სისაძაგლეა ღმრთის წინაშე.

ჰომოსექსუალური ურთიერთობები საყველთაოდ იყო მიღებული ქანანელთათვის - წარმართი ტომებისა და ხალხებისათვის, რომლებითაც დასახლებული იყო ქანანი. იმის შიშით, რომ მათი ცხოვრების წესი შეიძლება ებრაელებს გადაელოთ, ღმერთმა, რომელმაც ისრაელის ხალხი აღთქმულ მიწაზე შეიყვანა, დაუბარა მათ, რომ განადგურებინათ ყველა ეს ხალხები, რაც, უნდა აღინიშნოს, მათ არ გააკეთეს. მაგრამ ეს აღწერილი მოგლენებიდან საქმაოდ მოგვიანებით იყო. დაბადებაში, 15:16 აღნიშნულია, რომ „მეოთხე ნათესავი მოიქცეს აქა, რამეთუ არ-და სრულ ქმნილ არიან ცოდვანი ამორეველთანი

აქამომდე“. ანუ მხოლოდ მეოთხე თაობაში მობრუნდებიან აქეთ, როცა აივსება ამორეველთა უკეთურებათა საწყაულით. მაგრამ სიდომის ველის ორი ხალხის - სოდომისა და გომორის - გარევნილებამ უკვე ყველა საზღარს გადააჭარბა.

2) სოდომისა და გომორის დანგრევა არის მაგალითი იმისა, თუ რა ელის უღმერთოებს: 2 პეტრე 2:6: „და ქალაქები იგი სოდომელთა და გომორელთა დაწუა და დააქცია და დასაჯა და სახედ მერმეთა მათ უღმრთოთა დადავა“. იუდა 1:7: „ვითარცა სოდომი და გომორო და გარემოს მათსა ქალაქები იგი, რომელინი მათადვე სახედ ისიძვიდეს და მიღებულ იყვნეს შემდგომად ხორცისა უცხოსა, წინა სენან სახედ, ცეცხლისა საუკონისა საჯელი მიუღებიეს“.

სოდომისა და გომორის განადგურება არის მაგალითი და მტკიცება იმისი, თუ როგორ განსჯის და სჯის ღმერთი ცოდვას.

3) სოდომისა და გომორის განადგურება არის სოფლის დასასრულის სიმბოლო. ლუკა 17:28-30: „და ეგრევე ვითარცა - იგი იყო დღეთა ლოთისათა: ჭამდეს და სუმიდეს, იყდდეს და განცყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს; და რომელსა დღესა განვიდა ლოტ სოდომით, აწვიმა ცეცხლი და წუნწუბი ზეცით და წარწყმიდნა ყოველნი. ესრევე იყოს დღე იგი, ოდეს ძე კაცისად გამოჩნდეს“.

სოდომისა და გომორის განადგურება იქცა პრიტჩად ხალხებში: სხვა სიტყვებით, სოდომისა და გომორის სახელები ყოველი ხალხისათვისა ზოგადი მნიშვნელობის სახელებად იქცა, რომლებიც აღნიშნავენ უსჯულოებასა და სისაძაგლეს ღმრთის წინაშე. ესაია 1:9-10: „და არა თუმცა უფალმან საბაოთ დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომისცა ვიქწენით და ვითარ გომორრასმცა ვემსგაცხნით. ისმინეთ სიტყვა უფლისად მთავართა სოდომისათა,

ეკრძალეთ შველსა დმტოისასა ერი გომორრაისა“. ანუ, ეს მცირე ნატიალი რომ არ დაერჩინა ჩვენთვის უფალს, სოდომად ვიქტორი, გომორას დავემსგავსებოდით.

იერემია 23:13-14: „და წინაწარმეტყუელთა შორის სამარიაისათა ვიზილებ უსჯულოებანი. წინაწარმეტყუელებდეს სახელსა ზედა ჩემსა ბაალისთვის და შეაცუნეს ერი ჩემი ისრაელი. და წინაწარმეტყუელთაცა შორის იერუსალემისათა ვიზილებ განსაკროთმელნი მემრუშექმნილთა და მავალთა სიცრუეთა შინა და შემწეთა ჭელთა ბოროტთასა არმოქცევისათვის კაცადისა გზისაგან მისისა ბოროტისა. იქმნეს ჩემდა ყოველნი, ვითარცა სოდომად და მკუდრი მისნი, ვითარცა გომორრავ“. ანუ წინასწარმეტყველი აღნიშნავს, რომ სამარიის წინასწარმეტყველთა შორისაც დავინახე სისაძლეო: ბაალის სისხლით ქადაგებდნენ და აცდუნებდნენ ჩვენს ერს - ისრაელს; იერუსალიმის წინასწარმეტყველთა შორისაც ვხედავ სიბილწესო: გარყვნილებას მისდევენ და ცრუობენ, უკუთურთა მხარი უჭირავთ, რომ არცერთი მათგანი არ მოიქცეს თავის უკუთურიბისაგან. სოდომივით გახდნენ ჩემთვის ყველანი და გომორასავით მისი მცხოვრები.

4) სოდომისა და გომორის უსჯულოება შეიძლება გადამეტებულ იქნეს. მათე 10:14-15: „და უკეთუ არავინ შეგიწყნარნეს ოქუენ და არცა ისმინნეს სიტყუნი თქუენნი, გამორა ხვიდოდეთ მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიფარეთ მტუერი ფერთა თქუენთა . ამინ გეტყვით თქუენ: უმოლხინეს იყოს ჭუებანა იგი სოდომისად და გომორისად დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი.“ იგივეა აღნიშნული მარქოზი 6:11-ში.

II. ბიბლია ჰომოსექსუალიზმის ცოდვის შესახებ

1. ტერმინოლოგია

ჰომოსექსუალობა განიხილება, როგორც ლტოლვა, მიმართული იმავე სქესის პირისადმი. ქალებში ასეთ მოვლენას ლესბოსელობა ეწოდება. იმ ადამიანებს, რომლებიც მისდევენ ჰომოსექსუალური ცხოვრების წესს, უწოდებენ გეებს (gay - ეს აკრონიმია, რომელიც ინგლისურად იშიფრება როგორც «good as you» - ანუ „შენზე არაფრით უარესი“. ეს უბრალოდ აპრივიატურა კი არ არის, არამედ ჰომოსექსუალური მოძრაობის იდეოლოგიური ლოზუნგი); კლინიკურ პრაქტიკაში მათ „ეგოსინტონურ ჰომოსექსუალებს უწოდებენ (ტერმინი „ეგოსინტონური“ განეკუთნება ზრახვებს, სურვილებს, აზრებს და აშ., რომლებიც თანახმიერი არიან „მე“-სთან. ეგოსინტონური გამოვლინება ხასიათდება თავისი სექსუალური ლტოლვებისა და არჩევანების, როგორც ბუნებრივისა და საკუთარ პიროვნებაზე წარმოდგენებთან თანხმობაშით მყოფის, აღქმით).

ე.წ. სექსუალური უმცირესობები თავიანთი უფლებებისთვის ბრძოლას ადარებენ ქალთა ემანსიპაციისათვის ან რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქალები ან, ვთქავთ, შავგანიანები ნამდვილად ასეთნი დაიბადნენ და ვერ შეიცვლებიან. ჰომოსექსუალებონ დაკავშირებით კი, მეტირული თვალთახედვით, საქმე სხვადგარადაა.

2. რით არის გამოწვეული ჰომოსექსუალიზმი, რა არის მისი მიზეზები?

არაგაცნობიერებული ადამიანები მიიჩნევენ, რომ ადამიანები „სიმაძლრისგან ირევიან“. პოპულარული ვეი-პროპაგანდა, პირიქით ამტკიცებს, რომ ჰომოსექსუალებად იბადებიან. არც ერთი და არც

მეორე მართალი არ არის. პომოსექსუალიზმის ჩამოყალიბება - ეს პროცესია და არა მყისიერი მოვლენა.

პიპოტება იმის შესახებ, რომ არსებობს „პომოსექსუალიზმის სოციალური გენი“, რომელიც დედის «»-ქრომოსომით გადაეცემა, არ მტკიცდება, რაც გასაკვირი არ არის: ბიოლოგიზმა ხომ დაადგინეს, რომ არა მარტო ადამიანებში - თვით უმაღლეს ძუძუმწოვრებში სქესობრივი ქცევა არ კოდირდება გენეტიკურად, არამედ არის ამა თუ იმ სწავლა-ათვისების გზით ჩამოყალიბებული ჩვევის შედეგი. შთამომავლობით შეიძლება გადაეცეს გარკვეული წყობა ხასიათისა, როგორმაც გარკვეულ პირობებში, შეიძლება მიიყვანოს ინდივიდი პომოსექსუალიზმამდე.

მრავალი პომოსექსუალი ამობს, რომ „რაც თავი მახსოვს, მე ყოველთვის ასეთი ვიყენები“. მაგრამ გამოცდილ სპეციალისტს, რომელიც მას ესაუბრება, ყოველთვის შეუძლია გამოავლინოს მომენტი, რომლიდანაც დაიწყო გადახრა, და რა განაპირობებდა ამას.

რა ახდენს გავლენას ადამიანის პომოსექსუალურ მსოფლიშედველობაზე:

- დიდ როლს თამაშობს შიდა ოჯახური ურთიერთობები, მაგალითად, როდესაც ბიჭისთვის მამა არ არის მაგალითი, ხოლო დედა ზომაზე მეტად ქომაგობს მას. ასეთი ბავშვი შეიძლება ვერც მიხვდეს, თუ რა არის მამაკაცობა. ამასთან მას აღაფრთოვანებენ და იზიდავენ ისინი, რომლებშიც ეს მასში არასაკმარისად არსებული კაცობა გამოსჭვივის - სხვა ბიჭები და კაცები. ადრე თუ გვიან ეს აღტაცება იძენს ეროტიკულ ხასიათს. პომოსექსუალიზმის რისკუაქტორი იზრდება დანგრეულ ოჯახებში, როდესაც სტრესულ ვითარებაში მყოფი შვილები მიჯაჭვულნი არიან რომელიმე მშობელს.
- პომოსექსუალურ ორიენტაციაზე ასევე გავლენას ახდენს თანატოლებთან ურთიერთობის ნეგატიური გამოცდილება

(მეგობრების არარსებობა და საპირისპირო სქესის პირებთან წარუმატებელი ურთიერთობები).

- ქალებში შეიძლება იგივე ხდებოდეს, მაგრამ არის ერთი გადამწყვეტი ფაქტორიც: ლებაბოსელების უმრავლესობაში მამაკაცის მხრიდან განიცადეს ძალადობა ან დიდი შუურაცხოფა, და ამის შემდეგ, უბრალოდ, ეშინათ მმაკაცის. მათვის განსაკუთრებით მიმზიდვებილა ქალის მზრუნველობა და სინაზე.
- პომოსექსუალიზმზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს პირველი სექსუალური გამოცდილება, განსაკუთრებით თავაშვებული ცხოვრების დროს.
- აღარ ვსაუბრობთ იმაზე, რომ პომოსექსუალიზმი შეიძლება იყოს გაცნობიერებული ნებაყოფლობითი არჩევანი, სხვადასხვა მოტივაციებით. ამით შოულობენ ფულს. ამით ესვრიან გამოწვევას საზოგადოებას. ამას ცდიან ცნობისმოყვარების გამო, მძაფრი შეგრძნებებისათვის და ა.შ.

მოკლედ რომ ვთქვათ, პომოსექსუალებად არ იბადებიან.

3. რა არის ცუდი პომოსექსუალიზმში: რა არის მისი მავნებლობა?

1) ნეგატიური ზემოქმედება ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

ცხადია, პირველად თავში მოდის „შიდსი“ და მისი მრავალი ცნობილი თუ უცნობი მსხვერპლი. მაგრამ საქმე მარტო ეს არ არის. აშშ-ში ნეკროლოგების ანალიზის შედეგად აღმოაჩინეს, რომ „შიდსის“ არარსებობის შემთხვევაშიც გეები 25-30 წლით უფრო ნაკლებს ცოცხლობენ, ვიდრე პეტერისექსუალი მამაკაცები. ამასთან,

გარდა „შიღსისა“, მათ ემუქრება კიდევ რამდენიმე ათეული სპეციფიკური დაავადება. ხოლო, თუ ამას ემატება „შიღსი“, მაშინ თავადაც ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე.

2) ნეგატიური ზემოქმედება მორალურ ჯანმრთელობაზე.

დასავლეთის სტატისტიკური მონაცემებით ჰომოსექსუალისტებს შორის გაცილებით მაღალია თვითმკლელობათა რიცხვი. საუბრობენ იმის შესახებ, რომ ისინი, საწყლები, გამუდმებით განიცდიან საზოგადოებისაგან წნებს., მაგრამ დასავლეთში ხომ საზოგადოება დიდი ხანია არავის დევნის? ეს ხომ ამ ქვეყნების სტატისტიკაა? მაშინ, რაშია საქმე? საქმე, უბრალოდ, ისაა, რომ ჰომოსექსუალებს შორის გაცილებით მეტია უბედური ადამიანი. ასევე აშშ-ში, სადაც სექსუალური რევოლუციის შემდეგ უკვე დაგროვდა გარკვეული სტატისტიკა, დათვლილია, რომ მხოლოდ 2%-ზე ნაკლებ გენს ჰყავდა 10 პარტნიორზე ნაკლები ცხოვრების განმავლობაში, მაშინ როდესაც 43% - ს -500-ზე მეტი, ხოლო 28%-ს - 1000-ზე მეტი ჰყავდა ისინი. ბუქრივია, ჰომოსექსუალისტისთვის გაცილებით ძნელია თავისი „მწერვილე“ იპოვოს. მაგრამ განსაკუთრებული უბედურება იწყება ხანში შესვლიდან, როდესაც ისინი უკვე „მიმზიდველება“ აღარ არიან, არა ჰყავთ შვილები, შვილიშვილები და ა.შ.

3) ნეგატიური ზემოქმედება საზოგადოებაზე.

და როგორ ზემოქმედებს საზოგადოებაზე „ცისფერი“ სიყვარულის საყველოთაოდ გავრცელება? პირველ ყოვლისა, იშლება თავად ნორმის ცნება. და, აი, შედეგი: სადიზმი, მაზოხიზმი და შეგავთ გამოვლინებები უკვე აღარავის აკვირვებს - რას გაიგბ, ვინ როგორ ერთობა. დასავლეთში კი უკვე პედოფილები იწყებენ თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლას - აქაოდა, რითი ვართ უარესებიო. ნორმალური ადამიაები კი, პირიქით, აღმოჩნდებან უცნაურ

მდგომარეობაში: მაგალითად, მამაკაცებს შორის მეგობრობა უკვე იმთავითვე საეჭვო მოჩანს - გეებმა ყველა დაარწმუნეს, რომ კაცებს უბრალოდ მეგობრობა არ შეუძლიათ. დასავლური საზომებით კი მასწავლებელმა ცხრაჯერ უნდა აწონ-დაწონოს, ვიდრე შეეკითხება ბიჭუნას - ჰყავს თუ არა მას გიოლ-ფრენდი, რადგან ბიჭუას შეიძლება აღმოჩნდეს ბოი-ფრენდი, და ასეთმა უტაქტო შეკითხვამ შეიძლება დაზიანოს ნორმი ფსიქიკა. აი, სადამდე დაეცა ქვეყნიერება!

მარამ ეს ჯერჯერობით არაფერია იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელშიც აღმოჩნდა ადამიანთა საკმაოდ დიდი წრე - სახელდობრ, ჰომოსექსუალები, რომლებმაც მოისურვეს დაუბრუნდნენ ნორმალური ცხოვრების წესს. ძალიან ცოტა ისეთი ადგილი, სადაც მათ შეუძლიათ კვლიფიციურად დაუხმარონ; ჩვეულებრივ მათ ესმით: „რატომ?“ ეს ხომ ბუნებაა! იყავი ისეთი, როგორიც ხარ და იხარე ამით!“ მათ კი, უბედურებს, ნორმალური ოჯახი და შვილები უნდათ. ასე ხდება, ჩვეულებრივ, იმ საზოგადოებაში, რომელსაც არ აქვს მორალური ორიენტირები და ზნეობრივი ჩარჩოები, რომლის მიხედვითაც ჰომოსექსუალიზმი დიდი ცოდვაა და მისგან განთავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, სულიერ ფერისცვალებას უკავშირდება.

4. ბიბლიური თვალსაზრისი ჰომოსექსუალიზმის შესახებ

1) ძველაღთქმისუული სწავლება ქორწინებისა და სქესთა ურთიერთობის შესახებ.

ბიბლიაში გადმოცემულია ოჯახისა და ქორწინების საფუძლების შესახებ: დაბადება 2:18-24: „და თქვა ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფად კაცისა ამის მარტოსა, უქმნეთ მაგას შემწე, მსგავსი მაგისი. და და-ვე-პბადა უფალმან ღმერთმან ყოველი მტეცი

ველისად ყოველი მფრინველი ცისად და მოიყვანნა იგინი ადამისა ხილვად და ყოველთა შშინვიერთა ცხოველთა, რომელიცა უწოდა ადამ, იგი არს სახელი მათი, რადი უწოდოს მათ. და ყოველი, რომელი უწოდა მათ ადამ სახელები ყოველთა საცხოვართა და ყოველთა მფრინველთა ცისათა და ყოველთა მჭეცთა ქვეყანისათა, ხოლო ადამისი არა ეპოვა შემწე მსგავსი მისი. დასდგა ღმერთმან განპტვებაი ადამს და დაამინა: მოიღო ფერცხალი ერთი გუერდისა მისისა. და აღმოუვსო ჭორცითა მის წილ. და აღუშენა უფალმან ღმერთმან გუერდი, რომელ მოიღო ადამისგან, ცოლად და მოიყვანა იგი ადამისა: და თქვა ადამ: აწ ესე ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ჭორცი მორცა ჩემთაგანი. ამას ეწოდოს ცოლ, რამეთუ ქმრისა მისისაგან გამოლებულ იქმნა იგი. ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაბ თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა“. სწორედ ამიტომ იწოდება ჰომოსექსუალური კავშირები ბიბლიაში „შედგომად ხორცთა უცხოსა“ (იუდ 1:7).

უფალმა განსაზღვარა ოჯახი, როგორც კაცისა და ქალის კავშირი. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ განაჩინა მან ეს სახელდობრ ასე:

პირველ რიგში, ჩვენი სხეულები ისეა მოწყობილი, რომ ქალის სხეულის ანატომია აგსებს კაცის სხეულის ანატომისა, და პირიქით.

მეორეც, კაცისა და ქალის კავშირის წარმოებული - შთამომავლობაა. ჰომოსექსუალურ კავშირს არ შეუძლია აღასრულოს ღმრთის კურთხევა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ დაბადება 1:28: „და აკურთხნა იგინი ღმერთმან მეტყუელმან: აღორმნდით და განმრავლდით“.

მესამე, ღმერთმა განუსაზღვრა კაცსა და ქალს თავთავიანთი (ერთმნეთისაგან განსხვავებული) როლები ოჯახში, რომელთა აღსრულებაც განაპირობებს ოჯახური კავშირის განმტკიცებას. როგორც ცნობილია დაბადებიდან 2:118, ცოლი შექმნა, როგორც კაცის სრულყოფილი შემწე.

ამას გარდა, უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთმა შექმნა ადამი და ევა, და არა ადამი და სევა. თუკი ღმერთისთვის სულ ერთი იქნებოდა,

ვისთან დაამყარებდა ინტიმურ კავშირს, მაშინ არ იქნებოდა ნაბრძანები, რომ მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცენ, - დაბადება 2:24: „ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაბ თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა“. ცოლი და ქმარი ერთხორც იქმნებიან, რაღაც ევა აღებულია ადამის სხეულიდან (დაბადება 2:23-24): „და თქვა ადამ: აწ ესე ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ჭორცი ჭორცთა ჩემთაგანი. ამას ეწოდოს ცოლ, რამეთუ ქმრისა მისისაგან გამოლებულ იქმნა იგი. ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაბ თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა“. სწორედ ამიტომ იწოდება ჰომოსექსუალური კავშირები ბიბლიაში „შედგომად ხორცთა უცხოსა“ (იუდ 1:7).

უფალმა ღმერთმა თავისი სიტყვით მკაფიოდ აკრძალა ჰომოსექსუალური კავშირები:

ლევიანთა 18:22: „და წულისა თანა არა დასწრე საწოლითა დედებრითა, რამეთუ საძაგელ არს“.

ლევიანთა 20:13: „რომელი დაწვეს წულისა თანა საწოლითა დედებრით, რამეთუ საძაგელი ქმნეს ორთავე, სიკუდილით მოწყდენ, რამეთუ თანამდებ არიან“. ვინც მამაკაცთან დაწვება ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ ორივენი და უნდა მოკვდნენ, - მათზეა მათი სისხლი.

2) ახალი აღთქმის სწავლება ქორწინებისა და სქესთა ურთიერთობის შესახებ

იესო ქრისტე: ქორწინებაზე საუბრისას, იესო ქრისტე მიუთითებდა ძეელი აღთქმის სწავლებაზე, კერძოდ, დაბადებაზე.

მათე 19:4-6: „ხოლო იესო მიუგო და პრქუა მათ: არა აღმოგითხავსა, რამეთუ რომელმან დაპატადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმა იგინი? და თქუა: ამისთვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორივე იგი ერთ ხორც. ვითარცა არღარა არიან ორ, არამედ

ერთ ხორც. აწ უკუე რაომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებდნ“.

მარგოზი 10:6-8: „ხოლო დასაბამითგან დაბადებისა თ მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი ღმერთმან. ამისთვის დაუტეოს კაცმან მამავ თვისი და დედავ თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა. და იყვენ ორივენი იგი ერთ ხორც, ვითარცა არდარა არიან ორ, არამედ ერთ ხორც“.

მოციქულლთა ეპისტოლები.

1 კორინთელთა 6:9-10: „ანუ არა უწყითა, რამეთუ ცრუეთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვიდრონ? ნუ სციებით: არცა მეძავთა, არცა კერაპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა, არცა ანგაპრთა, არცა მპარავთა, არცა მომთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისა არა დაიმკვიდრონა.

1 ტიმოთე 1:9-10: „უწყი ესე, რამეთუ მართალსა სჯულ არა უც, არამედ უსჯულოთა და ურჩითა და უსახურებელთა და ცოდვილთა, უღირსთა და ბილწთა, მამის მაგინებელთა და დედის მაგნებელთა, კაცის მკლეთა, მებავთა, მამათმავალთა, კაცის მსყიდველთა, მტყუურთა, ცრუ-ფიცთა და სხუა, რომელიცა რა მე სიცოცხლისა ამის მოძლურებასა უხდებას“.

სქესთა ჰომისექსალური ურთიერთობები - ეს ცოდვაა, რომელსაც უფალი ღმერთი სამსჯავროზე განსვეის. მაგრამ არ უნდა დავიგიწყო, რომ ამ ცოდვით დაცემულნი თავისი უსჯულოების ნაყოფს ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე მოიმკიან, იღებენ ჯეროვან სასჯელს თავისი ცდომილების გამო. **რომაელთა 1:26-27:** „ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან ვნებასა მას გინებისასა; რამეთუ დედათა მათთა გარდაცვალეს ბუნებისა იგი წესი არაბუნებად. ეგრეუცა მამათა მათთა დაუტევს ბუნებისა იგი წესი დედათაბ, განხურდეს გულის თქმითა მათთა ურთიერთას; მამანი მამათა თანა სარცხვინელსა იქმოდეს,

და კუალად-საგებელი იგი, რომელ ჯერ-არნ საცდურისა მათისაბ, ურთიერთას მიიღონ“.

ამას გარდა მოცემული ნაწყვეტი იმას მოწმობს, რომ ჰომისექსუალიზმი, პირველ ყოვლისა, არის „არაბუნებრივი“ მოვლენა, ანუ ანომალია. მეორც, ჰომისექსუალიზმი არის არა გენეტიკური აშლილობა, არამედ გადაცდომა, „საცდური“, ანუ თავის მოტყუება.

ჰომისექსუალიზმის მიზეზი უღმერთობაა: რომაელთა 1:28:

„და ვითარცა არა გამოიცადეს ღმერთი, რა თამცა აქუნდა მუცნიერებით, მისცნა იგინი ღმერთმან გამოიუცდელსა მას გონებასა საქმედ უჯეროვასა“. ანუ, თავიანთი უღმერთობის გამო, იმისათვის, რომ არ იღწვოდნენ, რათა ქონდათ ღმერთი მეცნიერებით, ანუ გონებაში, ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა უკუღმართ გონებას - ეპეთებინათ უჯერო საქმეები.

ბიბლიაში ჰომისექსუალიზმი და სხვა სექსუალური გარყვნილება შედარებულია და გათანაბრებულია ძალლთა შლეგ ქცევასთან. ძეგლაღოთქმისეულ დროში სექსუალურად გარყვნილები „ძაღლებად“ იწოდებოდნენ: **მეორე რჯული 23:17-18:** „არ იყოს მებავი ქალი ისრაელის ქალებს შორის და მებავი კაცი ისრაელის ვაჟებს შორის. არანაირი აღთქმისათვის არ შეიტანო სამებაო გასამრჯელო და ძაღლის ფასი უფლის შენი ღმერთის სახლში, რადგან ორივე ეს სისაძაგლეა უფლის, შენი ღმერთისათვის“.

გმოცხადება 22:14-15: „ნეტარ არიან, რომელნი იქმოდიან მცნებათა მისთა, რაითა იყოს ხელმწიფულებად მათი ძელსა მას ზედა ცხორებისასა, და ბჭეთა მათ მიერ შევიდენ ქალაქად. გარე იყვნენ ძაღლი და მწამლველნი და მებავნი და კაცის-ძკლველნი და კერპთ-შსახურნი და ყოველნი მოყვარე და მოქმედი ტყუილისად“.

5. როგორი უნდა მოვეპყროთ ჰომისექსუალებს

როდესაც ქრისტესთან მოიყვნეს ქალი, მხილებული გარყვნილებაში, მან არ იწყო არც მისი გამართლება, არც მისი გამტყუება. იესომ

უთხრა მას: „წადი და აღარ სცოდო. შემდგომ იგი მისი ერთგული მოწაფე გახდა.

პომოსექსუალიზმი ისევე, როგორც სიძეა-მრუშობა, არის მისი სახესვაობა. ჩვენ, ქრისტიანებს, უნდა გვტულდეს ცოდვა, მაგრამ ღვთიურ სიყვარულს ვიჩენდეთ ცოდვილთა მიმართ. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელს ვუწყობდეთ ცოდვილ ცხოვრების წესს და ვაქტურდეთ ცოდვილებს თავიანთ ცოდვაში. აუცილებელია გავახსოვდეს, რომ უფალ ღმერთის შეუძლია გაათავისუფლოს მონაბული ცოდვილი პომოსექსუალიზმის ცოდვისაგან.

ყურადღება მივაქიოთ მოციქულ პავლეს სიტყვებს **კორინთელთა 6:9-11:** „ანუ არა უწყითა, რამეთუ ცრუთა სასუფეველი ღმრთისად ვერ დაიმკვიდრონ? ნუ სკოტით: არცა მექავთა, არცა კერპომსახურთა, არცა მემრუშეთა, არა ჩუქენთა, არცა მამათმავალთა, არცა ანგაპრთა, არცა მპარავთა, არცა მომთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისად არა დაიმკვიდრონ. და ესრეთ ოდესმე იყვენით: არამედ განაბანენით, არამედ განიწმიდენით, არამედ განკმართლდით სახელისა უფლისა იესოსითა და სულითა ღმრთისა ჩუენისათა“. როგორც ვხედავთ, პომოსექსუალიზმისაგან განთავისუფლება - ეს რეალობაა, რომელი ძალუქს ძაცხოვარ იქსო ქრისტეს.

ღმრთისათვის ყოველი ადამიანი, მიუხედავად მისი ორიენტაციისა, უსაზღვროდ ტვირთვასა. ღმერთი მოკვდა, რათა ყველა ჩვენგნისოფვის მოენიჭებინა ცოდვისაგან განთავისუფლება და სალმრთო მშვიდობა, რათა სასოწარკვეთისაგან განწარმებმა სულებმა მოიხვეჭონ სიმშვიდე და სიხარული. ღმერთი მზადაა, მიიღოს ნებისმიერი მონაბული ცოდვილი, ამიტომ ჩვენ - ქრისტიანებმა - უნდა დაგამოწმოთ ცოდვილების წინაშე ქრისტეს გამომსხვეროს ამას, და იქნება კიდევ ერთი მიზევება, და იქნება კიდევ ერთი ახალი სიცოცხლე.

ეპილოგის მაგივრად

ჩვენ ყოველთვის აღვინიშნავდით, რომ გარკვეული ძალების მიერ ჩვენს ქვეყნაში გარედან ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ერისთვის, მისი ისტორიისა და ტრადიციებისათვის უცხო იდეოლოგიის ძალმომტკიცებული შემოტანა და თავის ძოხვევა, მისი ღამეკიდრების მცდელობა, წარმოადგენს აგრძელას ჩვენი ხალხის წინააღმდეგ, სულიერ ექსტრემიზმსა და ჩვენი კანონიერი უფლებების დარღვევას, რადგან ეწინააღმდეგება ისტორიულ სამართალმეტკვიდრებითობასა და უფლებადამცველობით პრინციპებს, ერის ზნეობრიობასა და მის მრწამსს, ეროვნული იდეოლოგის ისტორიულად ჩამოყალიბებულ საფუძლებს. ერთ-ერთ ძრუულ წერილში, რომელიც ყოფილი ნაცხელისუფლების ზეობის პერიოდში დაიწერა, აღვინიშნავდით, რომ ჩვენს ქვეყნაში დარღვეულია ჩვენი, უმრავლესობის უფლებები. ახალმა ზელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ეს. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად მივჩინეთ, კვლავ გამოგვეტანა საზოგადოების წინაშე ჩვენი ეს 2007 წ. დაწერილი წერილი თითქმის უცვლელად.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნონდეს“

(წმინდა ილია მართალი)

ვინც ჩვენი ქვეყნის ისტორია იცის, უთუოდ შეამჩნევს, რომ საქართველო, ქართველი ერი იმითაც არის გამორჩეული, რომ საუკუნეების განმავლობაში მისი ზნე, ცნობიერება, წეს-ჩვეულებანი და ადათ-წესები ქრისტიანობას შეეთვისა, შეენიჭა და ისტორიულად ქართველობა მართლმადიდებლობასთან გაიგივდა. ამ ნიშან-თვისების წყალობაა, რომ განვვლეთ მოწარმებივი გზა - უფლის ჯვარი უდალატოდ ვზიდეთ, სარწმუნოება დაიცავთ, ხოლო მასთან ერთად ერი და ქვეყნაც გადაგარჩინეთ. იმჟიათია ერი, რომელსაც ამდენი მოწამე ჰყავდეს, და, აღბათ, არ არის ერი, რომლის ასი ათასმა

შეილმა ერთ დღეს მიიღო მოწამეობრივი აღსასრული - თავი დადო და არ უარყო ჭეშმარიტი სარწმუნოება, არ შეურაცხყო წმინდა ხატები. ასე გაბრწყინებულა არაერთხელ საქართველო, და ყველამ, ვინც საქართველოს გაბრწყინებაზე საუბრობს, უნდა იცოდეს, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილზედრი ქვეყნის გაბრწყინების გზა მართლმადიდებლობა და ქრისტეს ერთგულებაა. სწორედ ესაა საქართველოს, ქართველი ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული, მრავალგზის გამოცდილი და ქარტეზილებში განმტკიცებული ეროვნული ცნობიერების ხერხემალი, რომელზეც იგებოდა და უნდა აიგოს ქართველი სახელმწიფოებრიობა.

მამულიშვილიბა, პატრიოტიზმი უპირველესად იმას გულისხმობს, რომ პატივი მივაგოთ ჩვენს სახელოვან წინაპრებს, მათ ღვაწლსა და ამაგს, მათ ცნობიერებასა და აღმსარებლობას, ხოლო უპირველესად - მათ მოწამებრიობას, რათა ჩვენც ვიყვნეთ მათი მემკვიდრენი, მათი შათამომავალნი და მათი საქმის გამგრძელებელნი. ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს ისტორიულ მემკვიდრეობითობას, არა მხოლოდ ტერიტორიულ-მატერიალურს, არამედ სულიერს, ზნეობრივს, კულტურულს, აღიარებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ მსოფლმხდევლობას, ნდობას უცხადებს ამ მსოფლმხდევლობის ისტორიულ მესაჭის, მატარებელსა და მქადაგებელს - საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, პატივს სცემს ამ ეკლესის დოგმატურად შუშმცდარ კურსს, მიიჩნევს ეკლესიას ჩვენი ერის სულიერ წინამდოლოდ.

ეს ისტორიული მადლიერება და სამართლიანობა ერისა ეკლესიადმი, საქართველოს მრავალსაუკუნოები ისტორიაში, ასახული და აყვანილი იყო სახელმწიფოებრივ რანგში და მის გარანტად მირონცხებული მეჯე გვევლინებოდა. სწორედ ამ გზით იშვა „ძლიერი საკვირველი“ და ამ გზით მავალმა საქართველომ სახელმწიფოებრივად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად, სოციალურად, და რაც მთავარია - ზნეობრივად, უმაღლეს

საფუხურს მიაღწია. რაც შეეხება მადლიერებასა და სამართლიანობას ჩვენს დროში, იგი ნაწილობრივ, იურიდიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, აისახა კონსტიტუციურ შეთანხმებაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, რომლის მხედვითაც აღიარებულია ეკლესის განსაკუთრებული როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, და აქედან გამომდინარე - აღიარებულია მისი, როგორც ერის სულიერი წინამდოლის უფლებებიც. ამიტომ, ყველა, ვინც უგულებელყოფს ამ შეთანხმებას, ვერ იქნება ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი მექანიზმი, არა მხოლოდ სულიერი, არამედ უკვე სამართლებრივი თვალსაზრისითაც.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სამწუხაროა, რომ ხდება ჩვენი უფლებების, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის უფლებების ხელყოფა, ხშირად დემოკრატიის სახელითა და დემოკრატიზმის პრინციპის საბაბით. მაგალითისათვის, რას უნდა ნიშნავდეს ფაქტი, როდესაც „საზოგადოებრივი ტელევიზიდან“ ითხოვენ თანამშრომელს იმ მიზეზით, რომ მან გაბედა და მართლმადიდებელი მოძღვარი მიიღვია ტელევადაცემაში? ანდა, რას უნდა ნიშნავდეს შემთხვევა, როდესაც „საზოგადოებრივი ტელევიზია“ იღებს გადაწყვეტილებას, რომ არ გადასცეს შობის ღამის ღვთისმსახურება ტელეეფირში, და მხოლოდ მას შემდეგ ცვლის თავის გადაწყვეტილებას, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ერევანი საქმეში? რომელი საზოგადოების ტელევიზიაა ეს „საზოგადოებრივი ტელევიზია“? თუ იგი არ ითავალისწინებს რელიგიური უმრავლესობის მოთხოვნებსა და უფლებებს, მაშ, რატომ უხდის ეს უმრავლესობა ამ ტელევიზიას თავისი შემოსავლებიდან ფულს? აი, ეს არის ძალადობა საზოგადოებაზე, მის უმრავლესობაზე. სხვა მრავალ მაგალითთაგან კიდევ დავასახელებთ ერთ მეტად მტკიცნეულ ფაქტს, კერძოდ, იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო სკოლების მოსწავლეებს არა აქვთ საშუალება, აღასრულონ ღვთისგან მინიჭებული უფლება, სწავლა ლოცვით დაიწყონ და ლოცვითვე დაამთავრონ. ლოცვა

ხომ მოწაფის მიერ დმრთისგან შემწეობის გამოთხოვა და მაღლობის აღვლენაა ამ შემწეობისა და წყალობისათვის? და თუკი ლოცვა ნებაყოფლიბითი იქნება და არ იქნება არანაირ იძულება, როგორ უნდა ხელყოს მან ვინმეს უფლებები?

შედარებისათვის, ჩვენს ქვეყნაში ქართული ენა სავალდებულო გავხადეთ და მრავალი არაქართულებროვანი მოქალაქე, რიგ შემთხვევაში, იძულებულია, ისწავლოს იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იქნება სრულფასოვანი მოქალაქე. ამის საპირისპიროდ, მართლმადიდებლები არ მოვითხოვთ ვინმეს იძულების წესით მართლმადიდებლობაზე მოქცევას და მისგან ლოცვას. მაშ რატომ გვართმევენ ჩვენ, მართლმადიდებლებს, უფლებას, ვილოცოთ ყოველი საჭიროებისათვის, იქნება ეს სწავლა თუ სხვა საქმიანობა? განა ისრაელში, რომელსაც ყველა ხელისუფალი დემოკრატიულ სახელმწიფოდ მიიჩნევს, გაბედავს ვინმე გრაულ სკოლებში თუნდაც ერთი მისხალით შეზრუდოს იუდაიზმი? ასევეა საბერძნეთშიც, რომელიც არის ევროკავშირის, შეგენის, ნატოს წევრი, იქ სწავლა სკოლებში ნებაყოფლიბითი ლოცვით იქნება. მაშ, რატომ გაგვაქეს იძულების წესით საქართველოს სკოლებიდან წმინდა ხატები, რატომ შეიქნა ჩვენი ქვეყნის სკოლებში უადგილო ყოვლადწმინდა ღვთისმთხოვის ხატი, ქვეყნაში, რომლის ასი ათასმა მოქალაქემ იმიტომ მიიღო მოწამებრივი სიკვდილი, რომ არ შეურაცხო ღვთისმთხოვის ხატი? მათ შორის ხომ უმრავლესობა ბავშვი იყო. როგორ უნდა გავუსწოროთ მათ სულებს თვალი, რანი ვართ ჩვენ მათ წინაშე: უმაღურები, მათი წმინდა სისხლის შეურაცხმყოფელი. განა ჩვენ დირსი ვართ, მათი ჩამომავლები და მემკვიდრენი გვერქვას, განა ჩვენ შეიძლება გვერქვას საქართველოს მოქალაქენი, არა კონკრეტული ეპოქის, არამედ დროში განვითნილი საქართველოსი?

ჩვენ ვკრ შევეუბით ასეთ უსამართლობას, ასეთ უმაღურობას ჩვენი წინაპრებისადმი. მთელი კატეგორიულობით მოვითხოვთ, რათა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა და

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაშვებულ იქნას ლოცვა, წმინდა ხატები და სალოცავი კუთხე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიჩნევთ, რომ ხდება ძალადობა უმრავლესობის წინააღმდეგ, იმგვარი, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით.

მეორე პრიბლება, რაზეც გვინდა ყურადღება გავამახილოთ, არის ის განკუთხაობა, რაც ხდება ტელე-რადიო სივრცეში. გაშლილია ფართო ფრონტი იმ მიზნით, რათა ჩვენს საზოგადოებაში ტრადიციული ცნობიერებისა და ღირებულებების სანაცვლოდ დაინერგოს და დამკვიდრდეს ღირებულებები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ზნეობრიბასთან, ქრისტიანობასთან, ტრადიციული გაგებით ქართველობასთან. ამ მიზნით ტელეეკრანებიდან იღვრება გარყვნილება, სიძვა-მრუშობა, ძალადობა, სადიზმი, ჯადოქრობა, ნარკომანიისგვერ ბიბგის მიმცემი, მაცდუნებელი გადაცემები, დასცინიან წესიერებას, ქალწულობას, წმინდანებს, ჩვენს ტრადიციებს, იქადაგება ჰომოსექსუალიზმი, არის მცდელობა გარყვნილების ლეგალიზებისა და ა.შ. და ა.შ. არ იქნება სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც დაარგულირებენ ამ სუვეროსა და ამ საქმიანობას.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად მიმდინარეობს მნიშვნელოვანი მარეგულირებელ დოკუმენტზე – ‘ქცევის კოდექტზე’ მუშაობა, რომელიც იძლევა ტელეპროდუქციის შეფასების კრიტერიუმებს სწორედ ზნეობრივი, ეთიკური კუთხითა და თვალსაზრისით. და განა ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის ეთიკური მრწამსი არ უნდა იყოს გათვალისწინებული? მაშ, რატომ არ არის ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნაში დასაწყისიდანვე მიწვეული ექლესა, საპატრიარქო? თავი რომ დაგანებოთ უმრავლესობის უფლებებს, განა კონკორდატი არ მოითხოვს, რომ ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეეხება ჩვენს ქვეყნაში მორალურ-ეთიკური ნორმების შემცველი სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავებას, ეკლესიასა და მის საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე არ ხდებოდეს? ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეკლესიას მიეცეს

საშუალება, თავისი ზნეობრივ-ეთიკური შეხედულებები დაიცვას სამართლებრივად, მოვითხოვთ, რომ სახელმწიფომ პატივი სცეს მართლმადიდებელ ეკლესიას და მის სამწყსოს და შესთაგაზოს ისეთი კოდექსები, კანონები და სამართლებრივი ნორმები, რომელებიც არ შეურაცხოფვნ ქრისტიანულ ღირებულებებს, მართლმადიდებლების გრძნობებსა და შეხედულებებს. ამიტომ გთხოვთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შექმნილ მუშა ჯგუფში, რომელიც მუშაობს დასახელებულ „ქცევის კოდექსზე“, შეყვანილ იქნეს საპატრიარქოს წარმომადგენელი.

მსგავსი ვითარება ნაბეჭდი პროდუქციის რეალიზების სფეროში. თბილისის ქუჩებში შეუძლებელია გავლა, უურნალ-გაზეთებისა და წიგნების დახლები პორნოგრაფიასა და სხვა უხამსობას მიაქვს. და ეს ყოველივე ხელმისაწვდომია მოზარდისთვის, მათი თვალთახდებისათვის. ხდება კანონის უხეში დარღვევა: მავნე ზეგავლენა მოზარდებზე ტოტალურია, მაგრამ განმკითხავი არავინ არის. შეურაცხმყოფველია რიგი პროდუქციისთვის დარქმეული სახელებიცა და მათი რეკლამებიც. მაგალითად, ერთ-ერთი შოკოლადის რეკლამაზე შეუმოსავი ქალბატონია გამოსახული და დიდი ასოებით აწერია: „ღვთაებრივი ნეწარება“. ყოვლადდაუშებელია, პროდუქციას ერქვას „სამება“ და სხვა უწმინდესი ქრისტიანული ტერმინი თუ სიმბოლო.

ასევე გვაშფოთებს ზოგიერთი სახელმწიფო მოხელისა თუ ორგანიზაციის აშკარად ანტიმართლმადიდებლური და ანტიეკლესიური პოზიცია და ქმედებანი, მცდელობა კონკრეტატის ხელყოფისა, ეკლესიისთვის ისტორიულად მისი კუთვნილი ტაძრების ჩამორთმევისა და შევალებელთათვის გადაცემისა, გვაშფოთებს, თუ რატომ არ უბრუნებენ ეკლესიას მის ქონებას.

არის კიდევ მრავალი პრობლემა და საკითხი, რაც ჩვენს შეშფოთებას იწვევს და რაც გვაფიქრებინებს, რომ ქვეყნაში, სადაც უმრავლესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, სათანადოდ არ არის გათვალისწინებული და დაცული მათი უფლებები, რიგ

შემთხვევაში კი ხელყოფილია იგი სხვადასხვა საბაბით, ყველაზე ხშირად კი - უმცირესობის უფლებების დაცვის საბაბით. ჩვენ ასეთ მიღომას ვერ შევეგუბით, ეს არც დემოკრატიულია, არც სამართლიანი და არც სამართლებრივი. არც იმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ მართლმადიდებელთა საკმაო რაოდენობას არა აქვს მცავიოდ და ჯეროვნად შემცნებულ-გაცნობიერებული თავისი უფლებები და ღირსებები, და ამიტომ, შესაბამისად არ რეაგირებს ამ უფლებათა და ღირსებათა ხელყოფასა თუ შეზღუდვაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მართლმადიდებელი უმრავლეს შემთხვევაში ცდუნებულია პროპაგანდისტული თუ სხვა რამ ტექნოლოგიებით. ჩვენ ვერ შევეგუბით როგორც პირადად ჩვენი, ასევე ჩვენი სულიერი მმებისა და დების მაცდუნებელ ქმედებებს, ვერ შევეგუბით იმ სულიერ აგრესის, რაც ჩვენი მოზარდი თაობისკენაა მიმართული, ვერ შევეგუბით იმ მოძალადურ პროზელიტურ ქმედებას, რაც მიმართულია ჩვენი შეჭირვებული, სოციალურად დაბეჩავებული და ეკონომიკურად გადარიბებული ერისადმი.

ამასთან, ჩვენ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი, ჩვენი წინაპრების მემკვიდრენი, მათი მრწამსის მატარებელნი, მათი ცნობიერების გამზიარებლები, მათი ადათ-წესებისა და ტრადიციების პატივისმცემელნი, თავს უფლებამოსილად მივიჩნევთ, რათა მოგონივოთ ჩვენს ხელისუფლებას, მისი ყველა შტოს წარმომადგენელს, დაიცას ჩვენი უფლებები, გაითვალისწინოს ჩვენი მოთხოვნები და საშუალება მოგვცეს, რათა მივიღოთ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში - სიტყვითაც და საქმითაც.

დასასრულ, აღნიშნავთ, რომ ჩვენ ვართ ერთგული იმ ეროვნული მსოფლმხედველობისა, რომელიც ისტორიულად ჩვენმა ერმა შეიმუშავა. ამ მსოფლმხედველობის ხელყოფას ჩვენ ძალადობად, შეთქმულებად და მოღალატებად მივიჩნევთ. ამ იდეოლოგიის ქვაკუთხედი რუისურბნისის ძეგლისწერაში ერთდროულად ფიცისა და ლოცვის სახით

არის მოცემული: „არ გეცრუვებით შენ, ჩვენო სიწმიდით
შშობელო სამოციქულო ეკლესიაო, არც გაგცემთ შენ, ჩვენო
სიქადულო – მართლმადიდებლობავ!“.

ამინ!

მართლმადიდებელ შშობელთა კავშირი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თავი I

**ჰომოსექსუალური ექსტრემიზმი და იუვენალური
იუსტიცია ტრადიციული ოჯახისა და ექლესიის
წინააღმდეგ**

1.შესავალი 11

2. ჰომოსექსუალიზმი პათოლოგიაა 12

3. ჰომოსექსუალიზმი და იუვენალური იუსტიცია 15

ექლესიისა და ოჯახის წინააღმდეგ

4. ჰომოსექსუალთა მანიფესტი 22

თავი II

ჰომოსექსუალიზმის კრიტიკული შეფასების უფლებისა

და ჰომოსექსუალიზმის თავსმოხვევის კანონიერი

შეზღუდვის შესახებ

1.შესავალი 28

2. ჰომოსექსუალიზმისა და მისი საზოგადოებრივი 32

გამოვლინებებისადმი კრიტიკული შეფასების

ქონის უფლების დასაბუთება

3. ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიის აგრესიული ზასიათი . . . 45

თავი III

საზღვარგარეთის კანონმდებლობის ნორმები, რომლებშიც

სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ჰომოსესუალიზმის

მაკრებლობა

1.შესავალი 57

2.ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის . . . 58

მაგალითები

3.ადამიანის უფლებათა უვროპის სასამართლოს 71

სამართლებრივი პოზიცია, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა

განსახილეველ საკითხებთან

ბაქშვთა დაცვის სამართლებრივი საფუძვლები	75
---	----

მათზე ინტელექტუალური ფორმებით

განხორციელებული განმრყვნელი

ზემოქმედებისაგან

ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიის	93
---------------------------------------	----

დეზინფორმციული და მანიპულაციური ზასიათი

1.მანიპულირება ციფრებით	93
-----------------------------------	----

2.მითი ჰომოსექსუალების დისკრიმინაციის შესახებ	95
---	----

ადამიანის უფლებების დარღვევა და ადამიანის	104
---	-----

ლირსების შელახვა „გეი-აღლუმის“ ჩატარებისას
--

სოდომი და გომორი	116
----------------------------	-----

I.ბიბლია სოდომისა და გომორის შესახებ	116
--	-----

II.ბიბლია ჰომოსექსუალიზმის ცოდვის შესახებ	125
---	-----

ეპილოგის მაგივრად	135
-----------------------------	-----